


ՌԵՎԼԱՑՈՒՍ ԹՈԹԵՈԼՅՎԵ

ՍԱՊԱՐՏՅԵԱԼՈՍ ԵԽՈՅԵՆԿՈ ԾԱՆՀՈ

2011



საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა
2011 წ. II კვარტალი

თბილისი

სარჩევი

1.	შესავალი.....	5
2.	სამოხსეანებლო ფასების ცვლილება.....	7
3.	ინფლაციის ფაქტორები.....	11
3.1	შრომის ბაზარი.....	11
3.2	მონეტარული ინსტრუმენტები.....	14
3.3	პანკთაშორისი სესხები.....	16
3.4	საბანკო სექტორი.....	16
3.5	გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები.....	21
3.6	გამოშვება და მოთხოვნა.....	24
3.6.1	კერძო და სახელმწიფო მოხმარება.....	26
3.6.2	ინვესტიციები.....	27
3.6.3	2011 წლის პროგნოზი.....	27
3.7	საგარეო ვაჭრობა.....	31
3.8	სამთავრობო ოპერაციები.....	35
4.	ინფლაციის პროგნოზი.....	33
5.	მოხატარული პოლიტიკის კომიტეტის გადაცყვალილებები.....	42

ჩანართები

ჩანართი 1.	ახალი კეინზიანური მოდელი საქართველოს ეკონომიკისთვის.....	29
ჩანართი 2.	საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემა (WSS).....	34
ჩანართი 3.	10 წლიანი ევროობლიგაციების გამოშვება.....	37

დიაგრამები

დიაგრამა N 2.1	სურსათზე ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე.....	7
დიაგრამა N 2.2	ფასების ზრდა 2009 წლის დეკემბერთან შედარებით.....	8
დიაგრამა N 2.3	წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2009 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 266 კომპონენტის მიხედვით).....	8
დიაგრამა N 2.4	საბაზო ინფლაცია სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით.....	9
დიაგრამა N 2.5	წლიური ინფლაცია საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით.....	9
დიაგრამა N 2.6	ვაჭრობადი და არავაჭრობადი საქონლის ინფლაცია.....	9
დიაგრამა N 2.7	წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის.....	9
დიაგრამა N 3.1	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეების მიხედვით 2011 წლის I კვარტალში (ლარი).....	12
დიაგრამა N 3.2	შრომის პროდუქტიულობა, დაქირავებულთა საშუალოთვიური ხელფასი და პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი (წლიური პროცენტული ცვლილება).....	12
დიაგრამა N 3.3	ლარის ლიკვიდობა.....	15
დიაგრამა N 3.4	სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონების დინამიკა.....	15
დიაგრამა N 3.5	ლიკვიდური აქტივების, ვალდებულებების, ლიკვიდობის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დინამიკა.....	16
დიაგრამა N 3.6	საბანკო სისტემიდან სებ-ის მიერ სადეპოზიტო სერთიფიკატებით ლიკვიდობის ამოღება, კომერციული ბანკებისათვის სესხების გაცემა და ლიკვიდობის წმინდა მიწოდება.....	16
დიაგრამა N 3.7	ბანკთაშორის მოკლევადიანი სესხების ინდექსი და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.....	17

დიაგრამა N 3.8 მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით, მლნ ლარი.....	17
დიაგრამა N 3.9 მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით, მლნ ლარი.....	17
დიაგრამა N 3.10 გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით, მლნ ლარი.....	18
დიაგრამა N 3.11 გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით, მლნ ლარი.....	18
დიაგრამა N 3.12 ვადაგადაცილებები.....	18
დიაგრამა N 3.13 დეპოზიტები ეროვნული და უცხოური ვალუტით.....	19
დიაგრამა N 3.14 ლარის დეპოზიტების შემადგენლობა.....	20
დიაგრამა N 3.15 უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემადგენლობა.....	20
დიაგრამა N 3.16 საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%).....	20
დიაგრამა N 3.17 ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა (2009-2011 წლები).....	22
დიაგრამა N 3.18 ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2007-2011 წლები).....	22
დიაგრამა N 3.19 სავალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები.....	23
დიაგრამა N 3.20 საქართველოს მიმდინარე ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა.....	23
დიაგრამა N 3.21 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	23
დიაგრამა N 3.22 სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტები.....	24
დიაგრამა N 3.23 საქართველოს მშპ-ის წამყვანი სექტორების რეალური ზრდის დინამიკა.....	26
დიაგრამა N 3.24 საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა.....	28
დიაგრამა N 3.25 ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და სავაჭრო ბრუნვა.....	31
დიაგრამა N 3.26 წამყვანი საექსპორტო პროდუქცია 2010 წლის და 2011 წლის მეორე კვარტალებში.....	33
დიაგრამა N 3.27 ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა.....	35
დიაგრამა N 3.28 ევროპლიგაციების შემოსავლიანობა.....	38
დიაგრამა N 4.1 წლიური ინფლაციის პროგნოზი ცალკეული კომპონენტების პროგნოზირების საფუძველზე.....	40
დიაგრამა N 4.2 ინფლაციის პროგნოზი (ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით).....	41

ცხრილები

ცხრილი N 2.1 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).....	10
ცხრილი N 3.1 2011 წლის I კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ლირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.....	11
ცხრილი N 3.2 2011 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2010 წლის I კვარტალთან შედარებით.....	12
ცხრილი N 3.3 ეკონომიკური სექტორების წვლილი ქვეყნის რეალურ მშპ-ის ზრდაში.....	25
ცხრილი N 3.4 ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები.....	35

1. შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის ივნისის ბოლოსთვის ნლიურმა ინფლაციამ 10 პროცენტი შეადგინა. ნლიურ ინფლაციას კვლავ სურსათზე ფასების ცვლილება განსაზღვრავს. სურსათის გაძირების წვლილი ინფლაციაში 90 პროცენტს შეადგენს. უნდა აღნიშნოს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ბაზარზე ახალი მოსავლის გაჩენასთან ერთად ხილ-ბოსტნეულზე ფასების შემცირება აღინიშნება, რაც შესაბამისად აისახება ნლიური ინფლაციის მაჩვენებელზე, რომელიც მეორე კვარტალში 3.8 პროცენტით ხოლო ივლისში 8.5 პროცენტამდე შემცირდა.

ადგილობრივი საქონლის ნლიური ინფლაცია ივნისში 9.5 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე 9.4 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია რომ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არავაჭრობად საქონელზე ინფლაცია 2.2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ვაჭრობად საქონელზე ფასების ზრდის ტემპი კვლავ მაღალია და 14.3 პროცენტს შეადგენს, რაც ძირითადად სურსათზე მაღალი ინფლაციის შედეგია. აღსანიშნავია, რომ საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი (სამომზმარებლო ფასების ცვლილება სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით) მეორე კვარტალში კიდევ უფრო შემცირდა და 0.3 პროცენტს გაუტოლდა. აგრეთვე დაბალია მომსახურების სექტორზე ფასების ზრდის ტემპი, ივნისის თვეში მომსახურების ინფლაციამ 1 პროცენტი შეადგინა. ფასების ზრდის ასეთი განაწილება ნათლად მიუთითებს იმაზე რომ, ინფლაციის მაღალი დონე საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული და მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა სუსტია.

ინფლაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დინამიკა მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება აღინიროს: 2011 წლის პირველ კვარტალში რეალური ეკონომიკა 5.8 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო კვარტალების განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება ფიქსირდება. ეს ტენდენცია მოსალოდნელია, რომ მეორე კვარტალშიც შენარჩუნდეს, რაც მოთხოვნის შესუსტებაზე მიუთითებს. შინამეურნეობების რეალური სა-

ბოლომ მოხმარება სამომზმარებლო ფასების ზრდის ეფექტის გამორიცხვით 5.7 პროცენტით გაიზარდა. მოხმარებისა და მთლიანი ეკონომიკის თანაბარი რეალური ზრდა მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლის ნაკლებობაზე მიუთითებს.

2011 წლის მეორე კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.6 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური კურსი 3 პროცენტით გამყარდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლარის გამყარებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის აღსანიშნავია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები, კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების უფრო სწრაფი ზრდა ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებთან შედარებით, აგრეთვე საერთაშორისო ბაზრებზე არსებული დოლარის გაუფასურების ტენდენცია და შესაბამისად წარმოშობილი ლარის გამყარების მოლოდინები. ლარის გამყარების ტენდენცია იმპორტის ფასებზე შემცირების მიმართულებით მოქმედებდა.

2011 წლის მეორე კვარტალში 545.6 მილიონი ლარით გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა და 6,974.5 მილიონი ლარი შეადგინა. დაკრედიტების ნლიური ზრდის ტემპი 2011 წლის ივნისის ბოლოსთვის 29.5 პროცენტს გაუტოლდა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გამორიცხვით). ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხების მოცულობა 228 მილიონი ლარით გაიზარდა და 1,948.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო აშშ დოლარით გამოსახული უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 256 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა და 3,016 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ნლიური ზრდის ტემპი 27.1 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტის სესხებისათვის 30.1 პროცენტს. ეკონომიკის დაკრედიტების ზრდა აღნიშნული ტემპით შესაბამისობაშია ეკონომიკური ზრდის არსებულ პროგნოზთან - 5.5 პროცენტი.

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2011 წლის მეორე კვარტალში 165.1 მლნ ლარით

გაიზარდა და 4,929.9 მლნ ლარი შეადგინა. ივნისის ბოლოსთვის ეროვნული ვალუტით დეპოზიტების წლიური ზრდის ტემპი 37.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტით დეპოზიტები წლიურად 41.5 პროცენტით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია არარეზიდენტების დეპოზიტების ზრდა 5.8 პროცენტით, რამაც ივნისის ბოლოს 587.7 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირდა 2.2 პროცენტული პუნქტით და ივნისის ბოლოსთვის შეადგენს 69.9 პროცენტს. მთლიანი დეპოზიტების მსგავსად შემცირდა დოლარიზაცია ფიზიკური პირებისგან მოზიდულ დეპოზიტებში, თუმცა კვლავ მაღალი რჩება და 86.5 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სეპ-ი აგრძელებდა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას საბანკო სექტორის ლიკვიდობის ეფექტური მართვისა და ამ სექტორის გაჯანსაღების მიზნით. კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე განთავსებული სახსრების საშუალო მოცულობა მეორე კვარტალის განმავლობაში დაახლოებით ამავე პერიოდში მინიმალური რეზერვების საშუალოდ დასაცავი ნაშთის ტოლი იყო. აღნიშნული მიუთითებს საბანკო სექტორში ლიკვიდობის მართვის ეფექტუანობის ზრდაზე. საანგარიშო

პერიოდში სეპ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მოთხოვნა საგრძნობლად აღემატებოდა ემისიას, კვარტალის განმავლობაში ჯამში განთავსდა 445 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდი.

მაის-ივნისში გამოიკვეთა ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია და შედეგად მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზენოლის კიდევ უფრო შესუსტება. ამასთან, ივნისის თვეში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელზე უფრო მეტად შემცირება დაფიქსირდა და შედეგადაც შემცირდა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლის დასაწყისში ინფლაცია ჩამოცდეს მიზნობრივ დონეს. აქედან გამომოდინარე ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერპილება, რაც პოლიტიკის განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირებაში გამოიხატა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზის მიხედვით, მომდევნო თვეების განმავლობაში მოსალოდნელია წლიური ინფლაციის კიდევ უფრო შემცირება. არსებული პროგნოზებით, წლიური ინფლაცია მესამე კვარტალის ბოლოსათვის 4.2 პროცენტიდან 4.8 პროცენტი ინტერვალში, ხოლო წლის ბოლოს 4.3-დან 5.5 პროცენტამდე ინტერვალში მოხვდება.

2. სამომხარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 3.8 პროცენტით შემცირდა. 2009 წლის ანალოგიური მაჩვენებელი -0.4 პროცენტს შეადგენდა. შედეგად, 2011 წლის მეორე მეოთხედის ბოლოსათვის, წლიურმა ინფლაციამ წინა კვარტალში დაფიქსირებული 13.9 პროცენტიდან 10.0 პროცენტამდე მოიკლო. საშუალო წლიურმა ინფლაციის მაჩვენებელმა საანგარიშო პერიოდში 2.0 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 11.3 პროცენტს მიაღწია.

კვარტალის ინფლაციაზე ძირითადი გავლენა მოახდინა სურსათზე ფასების ცვლილებამ. კონკრეტულად, ბაზარზე ახალი მოსავლის გამოჩენასთან ერთად ფასების შემცირება დაფიქსირდა ხილ-ბოსტნეულზე. საანგარიშო პერიოდში, ფასები შემცირდა აგრეთვე განათლების სექტორში. წინა კვარტალთან მიმართებაში, ფასები გაიზარდა საქონლის და ღორის ხორცზე, სიმინდის და ხორბლის ფევილზე.

კვარტალურად, სურსათისა და უალკოპოლო სასმელების სასაქონლო ჯგუფიდან ფასების ზრდა დაფიქსირდა ამ ჯგუფში შემავალ ყველა კატეგორიაზე, „ხორცისა და ხორცის პროდუქტებისა“ და „კვების სხვა პროდუქტების“ გარდა.

საანგარიშო პერიოდში, წინა კვარტალთან შედარებით სამომხმარებლო ფასების კლება მნიშვნელოვნად განაპირობა კავშირგაბმულობის სფეროში განეულ მომსახურებაზე ფასების საერთო დონის შემცირებამ. ფასების კლება დაფიქსირდა ასევე „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის“ კატეგორიაში შემავალი საქონლის შემთხვევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების ანალოგიურად ფასები შემცირებულია სხვა ჯგუფებზეც, თუმცა შედარებით დაბალი ტემპით. საპირისპიროდ, ფასების ზრდა დაფიქსირდა - „კანმრთელობის დაცვისა“ და „სასტუმროები, კაფეებისა და


რესტორნების“ სფერობის შემთხვევაში. აგრეთვე, ფასების საერთო დონემ აინია სატრანსპორტო სექტორშიც, რაც, თავის მხრივ ბენზინსა და დიზელის საწვავზე ფასების ანევის შედეგია.

საბოლოო ჯამში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით სამომხმარებლო კალათის ფასები 3.8 პროცენტით შემცირდა.


როგორც უკვე აღინიშნა, 2011 წლის მეორე მეოთხედში, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 10.0 პროცენტით გაიზარდა. ფასები გაზრდილია დიზელსა და ბენზინზე (24.4 და 18.7 პროცენტით შესაბამისად). წლიური ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია „სურსათი და უალკოპოლო სასმელების“ კატეგორიაში შემავალ პროდუქტებზე ფასების ზრდით. სურსათზე ფასების მატებით გამოწვეული ინფლაციის წილი მთლიან ინფლაციაში 90 პროცენტს შეადგენს.

დეაზრამა N 2.1

სურსათზე ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე




დიაგრამა 2.2 ფასების ზრდა 2009 წლის დეკემბერთან შედარებით



დიაგრამა 2.3

წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2009 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 266 კომპონენტის მიხედვით)¹⁾



დიაგრამა 2.4

საბაზო ინფლაცია სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით



საანგარიშო თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასურსათო საქონელზე: „ხილი და ყურძენი“ (34.4 პროცენტით), „ზეთი და ცხიმი“ (29.3 პროცენტით), „ხორცი და ხორც-პროდუქტები“ (26.4 პროცენტით) და „რძე, ყველი და კვერცხი“ (26.2 პროცენტით). ასევე აღსანიშნავია ფასების მატება შემდეგ კატეგორიებზე: „პური და პურპროდუქტები“ (23.0 პროცენტით), „კვების სხვა პროდუქტები“ (19.6 პროცენტით), „ბოსტნეული და ბალჩეული“ (16.6 პროცენტით) და „შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი“ (12.5 პროცენტით). სასაქონლო ჯგუფში „ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო“ სამომხმარებლო ფასების წლიურმა მატებამ 9.2 პროცენტი შეადგინა.

ივნისის თვის ბოლოსათვის, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფასების ზრდა დაფიქსირდა „სასტუმროები, კაფეები და რესტორნების“ სფეროში (10.0 პროცენტით). ფასებმა იმატა ასევე „ტრანსპორტის“, „სხვადასხვა საქონელი და მომსახურება“, და „ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობები“ კატეგორიებში შემავალ საქონელსა და მომსახურებაზე (8.1, 6.6 და 3.5 პროცენტით შესაბამისად). სექტემბერში, „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ და „დასკენება, გართობა და კულტურა“ განეულ მომსახურებაზე და ჯგუფში „ტანისაცმელი და ფეხსაცმელი“ შემავალ საქონელზე ფასების დონის წლიურმა ზრდამ შესაბამისად, 1.5 პროცენტი, 1.1 პროცენტი და 1.4 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო თვეში, წლიურ დონეზე ფასების შემცირება დაფიქსირდა სამ კატეგორიაში. კერძოდ, სასაქონლო ჯგუფში „კავშირგაბმულობა“ შემავალ მომსახურებაზე ფასებმა მნიშვნელოვნად, 13.1 პროცენტით დიკლო. შედარებით მცირე იყო კლება „განათლების“ და „ჯანმრთელობის დაცვის“ სფეროებში (შესაბამისად, 2.0 პროცენტი და 0.9 პროცენტი).

¹⁾ * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

^{**} ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

წლის მეორე კვარტლის წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების ზრდის ტემპის კლება შეინიშნება. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 8.7 და 5.9 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე სამომხმარებლო კალათის სხვა პროდუქტებზე ფასების საერთო დონის ზრდა გაცილებით დაბალია. ამგვარად გაზომილი საბაზო ინფლაცია, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 0.3 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნული, ფასებზე მოთხოვნის მხრიდან ზეწოლის სისუსტის მანიშნებელია.

იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ბოლო პერიოდის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მატების შედეგი იყო. საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდის ტემპი შედარებით შეწლდა და ივნისის თვეში 9.4 პროცენტი შეადგინა. ადგილობრივ საქონლზე ინფლაცია 9.5 პროცენტია. ამავე პერიოდში, ვაჭრობად საქონელზე ფასების დონემ 14.3 პროცენტით მოიმატა, ხოლო არავაჭრობად საქონელზე წლიური 2.2 პროცენტი ინფლაცია დაფიქსირდა.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ 2011 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით ფასების შემცირებამ ხანმოკლე მოხმარების საქონელზე 5.2 პროცენტი შეადგინა. ანალოგიურად, ფასების კლება დაფიქსირდა ხანგრძლივი და საშუალო მოხმარების საქონელზე, თუმცა შედარებით დაბალი ტემპებით (შესაბამისად, 2.0 პროცენტით და 0.8 პროცენტით). პარალელურად, მომსახურებაზე ფასების დონემ 0.3 პროცენტით დაიწია.


დღაგრამა 2.5

ნოვემბრი ინფლაცია საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით




დღაგრამა 2.6

ვაჭრობადი და არავაჭრობადი საქონლის ინფლაცია



დღაგრამა 2.7

ნოვემბრი ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



საქონლის სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების მიხედვით წლიური ინფლაციის მაჩვენებლები შემდეგია: ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის სფი წლიური პროცენტული ზრდა 14.6 პროცენტს შეადგენს; საშუალო მოხმარების საქონ-

ლის ფასებმა 1.7 პროცენტით მოიმატა; ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში წლიურ დონეზე ფასების კლებამ 3.5 პროცენტი შეადგინა. ივნისის თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განეულ მომსახურებაზე ფასების მატება 1.0 პროცენტს გაუტოლდა.

ცხრილი 2.1

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წინა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).

	2009 წლის დეკემბრის წონები	ივნი/გარ10		ივნ1/ივნ11		ივლ10ივნ11/ ივლ09ივნ10	
		ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი
სულ	100.0%	-3.8%	-3.8%	10.0%	10.0%	11.3%	11.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	40.1%	-8.0%	-3.7%	22.2%	8.9%	22.8%	9.2%
სურსათი	38.8%	-8.3%	-3.9%	22.6%	9.1%	23.2%	9.4%
პური და პურპორდუქტები	11.7%	-0.4%	0.0%	23.0%	2.7%	19.4%	2.3%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	8.2%	0.6%	26.4%	1.9%	14.5%	1.0%
თევზეული	1.1%	-3.3%	0.0%	3.9%	0.0%	9.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	4.7%	-10.8%	-0.5%	26.2%	1.0%	16.5%	0.7%
ზეთი და ცხიმი	3.4%	-0.5%	0.0%	29.3%	1.1%	30.1%	1.1%
ხილი, ყურძენი	1.8%	-17.4%	-0.5%	34.3%	0.7%	46.1%	0.8%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვივანების ჩათვლით	7.5%	-27.4%	-3.1%	16.6%	1.3%	33.7%	2.8%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკანდიტრი ნაწარმი	2.2%	-9.9%	-0.3%	12.5%	0.3%	15.1%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.3%	0.2%	0.0%	19.6%	0.1%	13.5%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	1.8%	0.0%	10.6%	0.1%	10.0%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	2.9%	-0.2%	0.0%	9.2%	0.3%	9.8%	0.3%
ტანაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-1.5%	-0.1%	1.4%	0.1%	-1.0%	0.0%
საცხოვრეტელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	13.9%	0.1%	0.0%	1.5%	0.2%	2.3%	0.3%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.6%	-0.3%	0.0%	3.5%	0.1%	3.7%	0.1%
ჭანმრთელობის დაცვა	9.0%	1.1%	0.1%	-0.9%	-0.1%	2.9%	0.3%
ტრანსპორტი	10.4%	0.8%	0.1%	8.1%	0.9%	7.4%	0.8%
კაფეირგაბშულობა	4.2%	-6.3%	-0.2%	-13.1%	-0.5%	-7.2%	-0.3%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.2%	0.9%	0.0%	1.1%	0.0%	-0.2%	0.0%
განათლება	5.2%	-0.8%	0.0%	-2.0%	-0.1%	6.7%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.8%	1.1%	0.0%	10.0%	0.2%	7.2%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.5%	0.0%	0.0%	6.6%	0.2%	8.1%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	67.9%	-5.2%	-3.8%	14.6%	10.0%	15.9%	10.8%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	5.8%	-0.8%	0.0%	1.7%	0.1%	-0.3%	0.0%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	3.4%	-2.0%	-0.1%	-3.5%	-0.1%	2.9%	0.1%
მომსახურება	22.8%	-0.3%	-0.1%	1.0%	0.2%	2.4%	0.5%

3. ინფლაციის ფაქტორები

3.1 შრომის პაზარი

საქართველოს მონაცემებით, 2011 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა 3 პროცენტით გაუმჯობესდა. ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დონე კი, 2010 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად - 11.8 პროცენტით გაიზარდა. ამდენად, შრომის პროდუქტიულობის წლიური ზრდა წინა კვარტალებთან შედარებით საკმაოდ შენელდა, ხოლო დაქირავებულთა ხელფასების ზრდის ტემპი კი მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

2011 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა „საფინანსო შუამავლობის“, „სასტუმროების და რესტორნების“, „უძრავი ქონებით ოპერაციების“ სექტორებში. მატება აღინიშნა ასევე განათლების, „ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის“ და ჯან-დაცვის სფეროებში.

2010 წლის პირველ კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულების საგრძნობი კლება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაფიქსირდა მშენებლობის, ვაჭრობის, მრეწველობის, სახელმწიფო მართვის და სოფლის მეურნეობის სექტორებში.

საწარმოთა და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დაკვირვების მონაცემებით 2011 წლის პირველ კვარტალში ეროვნულ ეკონომიკაში დაქირავებულთა საშუალოთვიურმა ხელფასმა 631.3 ლარი შეადგინა, რაც 11.8 პროცენტით აღემატება 2010

3.1.1 შრომის პაზარი

2011 წლის 1 კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

	დამატებითი ღირებულების ზრდის ინდექსი
სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება მინამეურნეობების მიერ	99.4
მრეწველობა	93.8
მშენებლობა	93.5
ვაჭრობა	93.6
სასტუმროები და რესტორნები	122.9
ტანსპორტი და კავშირგაბმულობა	105.8
საფინანსო შუამავლობა	132.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	117.8
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	98.8
განათლება	109.8
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	105.5
სულ, ეკონომიკაში	103.0

წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში, დარგების დიდ უმრავლესობაში დაქირავებულთა საშუალოთვიური ხელფასის ზრდა დაფიქსირდა.

სექტორების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტენსიური ზრდით კვლავ გამოირჩეოდა „თევზჭერა, მეთევზეობა“. ამ დარგში 2011 წლის 1 კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 61 პროცენტით მოიმატა. მაღალი ზრდა დაფიქსირდა სექტორებში: „ოპერაციები უძრავი ქონებით“ (43 პროცენტი), „სასტუმროები და რესტორნები“ (35 პროცენტი), „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“ (26

პროცენტი) და „ჯანდაცვა და სოციალური დახმარება“ (23 პროცენტი). სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის, ასევე ვაჭრობის დარგებში ნომინალური ხელფასი წლიურად 16-17 პროცენტით გაიზარდა. შედარებით ზომიერად (5-8 პროცენტით) მოიმატა საშუალო ხელფასმა მშენებლობის, „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის“ და განათლების სექტორებში.

2011 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი მნიშვნელოვნად მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორში შემცირდა (11 პროცენტით).

ცხრილი 3.2


2011 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2010 წლის I კვარტალთან შედარებით

	ნომინალური ხელფასის ზრდის ინდექსი
სოფლის მეურნეობა, ნაღირობა და სატყეო მეურნეობა	88.5
თევზჭერა, მეთევზეობა	161.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	116.8
დამამუშავებელი მრეწველობა	117.1
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	99.6
მშენებლობა	108.1
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო წანარმისა და პირადი მომზარების საგნების რემონტი	116.5
სასტუმროები და რესტორნები	135.4
ტანსპორტი და კავშირგაბმულობა	106.3
საფინანსო შუამავლობა	100.1
ოპერაციები უძრავი ქრინებით, იჯარა და მომზარებლისათვის მომსახურების განევა	143.5
სახელმწიფო მმართველობა	100.3
განათლება	104.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	122.7
კომუნალური, სოციალური და ჰერსონალური მომსახურების განევა	126.5
საშუალოდ ეკონომიკაში	111.8

2011 წლის პირველ კვარტალში სსგადასხვა დარგი საშუალო ხელფასის დონეებს შორის მნიშვნელოვნი უთანაბრობით ხასიათდებოდა. ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ტრადიციულად, „საფინანსო შუამავლობისა“ (1,316 ლარი, წინა კვარტალთან შედარებით 0.3 პროცენტით მეტი) და „სახელმწიფო მმართველობის“ (929 ლარი, წინა კვარტალთან შედარებით 13.6 პროცენტით ნაკლები) სექტორებში დაფიქსირდა. ხელფასი „საფინანსო საქმიანობისა“ და „სახელმწიფო მმართველობის“ სექტორებში მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის დონეს შესაბამისად 2.1-ჯერ და 1.5-ჯერ აღემატებოდა. ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი, ტრადიციულად, „განათლების“ (311 ლარი) და „სოფლის მეურნეობის“ (336 ლარი) სფეროებში დაქირავებით დასაქმებულთა შორის დაფიქსირდა. ამ დარგებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასებმა ქვეყანაში საშუალო ხელფასის დაახლოებით ნახევარი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ „სექტორულ“ ხელფასებს შორის საანგარიშო კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით ეს სსგაობა 3 პროცენტით გაიზარდა.

დიაგრამა 3.1

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეების მიხედვით 2011 წლის I კვარტალში (ლარი)



ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით, ქვეყანაში შექმნილი დამატებითი ღირებულება მთელი 2010 წლის განმავლობაში და 2011 წლის პირველ კვარტალში იზრდებოდა, თუმცა ბოლო კვარტალებში შრომის პროდუქტიულების ზრდის ტემპი შედარებით შენელდა.


პარალელურად, 2011 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალებთან შედარებით ქვეყანაში ხელფასების ზრდის ტემპი საგრძნობლად გაიზარდა. წლიური ზრდის მაჩვენებელი 2010 წლის მესამე კვარტალში 7.2 პროცენტს, ხოლო მეოთხე კვარტალში 5.5 პროცენტს შეადგენდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საშუალო ხელფასის 11.8 პროცენტიანი ზრდა აღინიშნა.

შედეგად, 2011 წლის პირველ კვარტალში, ქვეყანაში საშუალო ხელფასის და შრომის პროდუქტიულობის თანაფარდობა, ანუ პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი² საკმაოდ (8.5 პროცენტით) გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად მრეწველობის, ვაჭრობის და ასევე, ჯანდაცვის სფეროებში პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯის მატებამ განაპირობა. მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში პროდუქტიულობის შემცირების ფონზე ადგილი ჰქონდა ხელფასების მნიშვნელოვან წლიურ ზრდას. ხელფასების მაღალი ზრდა კი, თავის მხრივ, საბაზისო ეფექტის შედეგი იყო - 2010 წლის პირველ კვარტალში ორივე სექტორში დაქირავებულთა საშუალო ხელფასის წლიურ კლებას ჰქონდა ადგილი.

ჯანდაცვის სექტორში პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯის მაღალი ზრდის მიზეზი სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების კვალდაკვალ საშუალო ხელფასის საგრძნობი ზრდა გახდა (რასაც შრომის პროდუქტიულობის შესაბამისი ზრდა არ მოჰყოლია). თუმცა პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯის მთლიან მაჩვენებელში ჯანდაცვის წვლილი შედარებით მცირეა.

დიაგრამა 3.2

შრომის პროდუქტიულობა, დაქირავებულთა საშუალოთვიური ხელფასი და პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი (წლიური პროცენტული ცვლილება)



² ეს იგივეა, რაც ხელფასებზე (ანუ პერსონალზე) განტული დანახარჯი, როგორც მთლიანი რეალური დამატებითი ღირებულების (ანუ მშპ-ის) წილი.

3.2 მონეტარული ინსტრუმენტები

2011 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებდა მის ხელთ არსებულ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ინფლაციის მოსალოდნელი დონისა და ინფლაციის მოლოდინების შემცირებას. სებ-ის მთავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენს ღია ბაზრის ოპერაციები, სარეზერვო მოთხოვნები და მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები.


მიმდინარე კვარტლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებდა როგორც ლიკვიდობის მიწოდების ასევე მისი ამოღების ინსტრუმენტებს. მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება ხორციელდებოდა რეფინასირების სესხების საშუალებით, რომელიც მიმართული იყო ბანკთაშორისი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების დასარეგულირებლად. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება, თავდაპირველად აისახება ბანკთაშორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე, საბოლოოდ კი გადაეცემა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სებ-ის მიერ განაკვეთის ცვლილებას ადგილი არ ქონია და წლიურ 8 პროცენტზე იყო დაფიქსირებული. მოცემულ პერიოდში საშუალოვადიანი ჭარბი ლიკვიდობის ამოღება კი ხდებოდა სადეპოზიტო სერთიფიკატების მეშვეობით.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოთხოვნას განსაზღვრავდა მინიმალური რეზერვების საშუალო დასაცავი ნაშთი. ბანკების ლიკვიდობის მდგომარეობის წინასწარი შეფასება ხდება ლიკვიდობის პროგნოზების საშუალებით, რომლის მიხედვითაც დგინდება თუ რა რაოდენობის მოკლევადიანი ლიკვიდობა იქნება საჭირო საბანკო სექტორი-


სთვის, რომ შესრულდეს დადგენილი სარეზერვო მოთხოვნების ნორმა. ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს ეფუქტურად მართონ მოკლევადიანი ლიკვიდობა და საჭირო რაოდენობის სახსრები მიიღონ რეფინანსირების სესხების აუქციონების საშუალებით, რომლებიც, როგორც წესი, იმართება კვირაში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის აქტიურად გამოყენება კომერციულმა ბანკებმა 2010 წლის მეორე კვარტლიდან დაიწყეს, რაც უმთავრესად მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხების ამოქმედებასთან იყო დაკავშირებული. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთკვირიანი რეფინანსირების სესხების 13 აუქციონი ჩატარდა და თითოეულ აუქციონზე გაცემული სესხის ოდენობა 35-190 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობდა, საშუალოდ კი 116.4 მლნ ლარი შეადგინა. მეორე კვარტალში გაცემული რეფინანსირების სესხების ჯამური ოდენობა 11 პროცენტით ჩამოუვარდებოდა წინა კვარტლის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში აგრეთვე გაიცა ხუთი მუდმივმოქმედი ერთკვირიანი რეფინანსირების სესხი ჯამური 58.5 მილიონი ლარის ოდენობით. რაც შეეხება რეფინანსირების სესხების საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს, მან 8.2 პროცენტი შეადგინა და მცირედით განსხვავდებოდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისაგან, რომელიც 2011 წლის თებერვლიდან 8 პროცენტის დონეზეა. საანგარიშო პერიოდში ლიკვიდობის წმინდა ამღების ფარდობამ სარეზერვო ფულთან საშუალოდ 19.4 პროცენტი შეადგინა. 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ლიკვიდობის წმინდა ამოღება 285 მილიონი ლარი იყო.

მეორე კვარტალის განმავლობაში საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებულმა თანხის საშუალო მაჩვენებელმა 206.8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მცირედით განსხვავდებოდა საშუალო დასაცავი ნაშთისაგან - 198.7 მილიონი ლარი. 2010 წლის შესაბამის კვარტალში კი საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული საშუალო თანხა 172.8 მილიონ ლარს შეადგენდა, მაშინ როდესაც საშუალო დასაცავი ნაშთი 116.6 მილიონი ლარი იყო. აღნიშნული სხვაობის შემცირება 2010 წლის მეორე კვარტლიდან დაფიქსირდა, რაც უკავშირდება ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის გააქტიურებას, ლარის სარეზერვო ნორმის გაზრდასა და მუდმივ-მოქმედი რეფინანსირების ინსტრუმენტის ამოქმედებას, რამაც განაპირობა კომერციული ბანკების მიერ ლიკვიდობის უფრო ეფექტური მართვის წახალისება.

დისტრამა 3.3 ლარის ლიკვიდობა




დისტრამა 3.4 სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების დინამიკა




დისტრამა 3.5

ლიკვიდური აქტივების, ვალდებულებების, ლიკვიდობის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დინამიკა



დისტრამა 3.6

საბანკო სისტემიდან სებ-ის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატებით ლიკვიდობის ამოღება, კომერციული ბანკებისათვის სესხების გაცემა და ლიკვიდობის შემინდა მინოდება (მილიონი ლარი)




2011 წლის მეორე კვარტალში ეროვნული ბანკი განაგრძობდა 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატებით საშუალოვადიანი ლიკვიდობის ამოღებას საბანკო სიტემიდან. ამასთანავე, აპრილის თვეში ეროვნულმა ბანკა გამოუშვა 6-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, რომელთა შეთავაზება, 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ანალოგიურად, აუქციონების საშუალებით ხდება. საანგარიშო პერიოდში განთავსებული დებოზიტების საერთო მოცულობამ 445 მილიონი ლარი შეადგინა, მოთხოვნამ კი ორჯერ გადააჭარბა მინიდებას. მათგან 210 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების სერტიფიკატები 3-თვიანი ვადიანობის იყო, 235 მლნ კი - 6 თვიანი. წინა კვარტალთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია 2.2 პროცენტით შემცირდა, მოთხოვნა კი - 21.8 პროცენტით.

3.3 ბანკთაშორისი სესხები

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ბანკთაშორის გაცემული სესხების ოდენობამ იმატა, რაც ძირითადად დოლარში სესხების მკვეთრი მატებით იყო გამოწვეული; ლარში გაცემული სესხები 3.5 პრო-

დიაგრამა 3.7

ბანკთაშორის მოკლევადიანი სესხების ინდექსი და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



ცენტით შემცირდა და სულ 1.57 მილიარდი ლარი შეადგინა; თითქმის გაორმაგდა აშშ დოლარში გაცემული სესხების მოცულობა და 318.2 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. გასული პერიოდის მსგავსად კვლავ გაიზარდა ევროში გაცემული სესხების რაოდენობა, ზრდამ 51 პროცენტი შეადგინა.

ბაზარზე კვლავ ჭარბობს ერთდღლიანი სესხების ნილი; უმნიშვნელოდ იმატა ეროვნულ ვალუტაში ერთი დღის ვადით გაცემულმა სესხებმა და მთლიანად ლარში გაცემული სესხების 77.1 პროცენტი შეადგინა. ხოლო დოლარში გაცემული ერთდღლიანი სესხების ნილმა კვლავ დაიკლო და და 71.1 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 74.9 პროცენტისა.

3.4 საბანკო სისტემი

2011 წლის მეორე კვარტალის ბოლოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 6,974.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 545.6 მლნ ლარით მეტია ამა წლის მარტის მაჩვენებელზე. წინა წლის ივნისთან შედარებით საკრედიტო პორტფელი 29.5%-თაა გაზრდილი (გაცვლითი კურსის გამორიცხვით³), აქედან ლარის სესხების მატებამ შეადგინა 27.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტის სესხებმა კი - 30.1 პროცენტი. შესამჩნევი წლიური ზრდა დაფიქსირდა ლარით დენომინირებული სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში - 55.8 პროცენტი და ამჟამად, მისი 68.8 პროცენტი გრძელვადიანს წარმოადგენს. შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის სესხების განსაკუთრებული ზრდა სწორედ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა, რისი მიზეზიც, საგარაუდო, 1-დან 5 წლამდე სამომხმარებლო ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების რეკორდული შემცირებაა მეორე კვარტალში - 26 პროცენტიდან 19 პროცენტამდე (მა-

³ მოცემულ ქვეთავში მოცულობათა პროცენტული ზრდები გამოსახულია გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, თუ, ცხადია, მოცულობა მხოლოდ ლარით არ არის დენომინირებული


შინ, როცა ყველა ვადიანობის უცხოური ვალუტის სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა).

მთლიანი პორტფელის დოლარიზაცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნომინალურად 72.1 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, გასული წლის ივნისთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით მეტია, თუმცა მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში - 8.5 პროცენტული პუნქტი.

2011 წლის მეორე კვარტალში ვადაგადაცილებული სესხები 17.8 მლნ ლარით შემცირდა და 170.7 მლნ ლარს გაუტოლდა (გასული წლის ივნისში ეს მაჩვენებელი 201.1 მლნ ლარს შეადგენდა). აღსანიშნავია ლარით დენომინირებული ვადაგადაცილებული სესხების კლება 13.3 მლნ ლარით, ხოლო მთლიანობაში ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან სესხებში ნომინალურად 2.4 პროცენტს შეადგენს. ასევე შევნიშნოთ, რომ ვადაგადაცილებული სესხების 70.5 პროცენტი უცხოური ვალუტით არის დენომინირებული. რაც შეეხება უმოქმედო სესხებს, საანგარიშო პერიოდში ეროვნული ვალუტით დენომინირებულ სესხების მიხედვით დაფიქსირდა კლება 10.3 პროცენტით 112.5 მლნ ლარამდე, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებში კი - 2.6 პროცენტით 601.5 მლნ ლარამდე. შევნიშნოთ, რომ კვარტალის განმავლობაში ბანკებმა ჩამოწერეს 39.4 მლნ ლარის ოდენობის სესხი, რომლის 55.8 პროცენტი ლარით იყო გაცემული. ივნისის მდგომარეობით, უმოქმედო სესხების წილი საკრედიტო პორტფელში 10.6 პროცენტს შეადგენს.


დიაგრამა 3.8

მოკლევადიანი სესხების ეროვნული ვალუტით, მლნ ლარი




დიაგრამა 3.9


მოკლევადიანი სესხების უცხოური ვალუტით, მლნ ლარი




დიაგრამა 3.10
გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით, მლნ ლარი



დიაგრამა 3.11
გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით, მლნ ლარი




დიაგრამა 3.12
ვადაგადაცილებები




პირველი კვარტალის მსგავსად მეორე კვარტალშიც გაგრძელდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია საბანკო სექტორში. სავარაუდოდ, აღნიშნული ფაქტი სხვა მიზეზებთან ერთად სექტორში გაზრდილ კონკურენციასაც უნდა მივაწეროთ. საპროცენტო განაკვეთი 2011 წლის მეორე კვარტალში 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და წლიური 16.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან შევნიშნოთ, რომ განსხვავებით ფალკე აღებული სამომხმარებლო სესხებისგან, ეროვნული ვალუტის შემთხვევაში განაკვეთები მთლიან სესხებზე გაიზარდა 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში კი - პირიქით, შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით. საგულისხმოა, რომ იქნისა თვეში ამ უკანასკნელზე დაფიქსირებულმა საბაზრო განაკვეთმა (13.9 პროცენტი) ისტორიულ მინიმუმს მიაღწია.

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2011 წლის მეორე კვარტალში ნომინალურად 165.2 მლნ ლარით გაიზარდა და 4929.9 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის ივნისთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა გაზრდილია 40.4 პროცენტით.

დიაგრამა 3.13
დეპოზიტები ეროვნული და უცხოური ვალუტით



■ უცხოური პირები
■ ფიზიკური პირები



■ ფიზიკური პირები
■ უცხოური პირები

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული ზრდა ძირითადად ლარით დენომინირებული დეპოზიტების მატებითაა გამოწვეული: ეს უკანასკნელი მიმდინარე პერიოდში 153.9 მლნ ლარით გაიზარდა 1,482.9 მლნ ლარამდე. რაც შეეხება უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებს, ის გაიზარდა 54.4 მლნ აშშ დოლარით 3,447 მლნ ლარამდე. შეენიშნოთ, რომ ზრდა ძირითადად შეეხო ვადიან დეპოზიტებს უცხოური ვალუტით - ეს უკანასკნელი საანგარიშო პერიოდში 7.3 პროცენტით გაიზარდა. მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაცია საანგარიშო პერიოდში შემცირდა 2.2 პროცენტული პუნქტით და ივნისის ბოლოსთვის შეადგენს 69.9 პროცენტს.

მთლიანი დეპოზიტების მოცულობის ზრდაში ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდას 58.3 პროცენტიანი წვლილი მიუძღვის, ხოლო უშუალოდ ლარით დენომინირებულს 18.3 პროცენტიანი წილი ერგება. ფიზიკური პირების დეპოზიტთა მოცულობა ამჟამად 2,422 მლნ ლარს შეადგენს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა


შეინიშნება ასევე ვადიანი დეპოზიტების შემთხვევაშიც - 410 მლნ ლარიდან 500 მლნ ლარამდე.

არარეზიდენტი სუბიექტების დეპოზიტები საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 5.8 პროცენტით და ივნისის ბოლოს 587.7 მლნ ლარი შეადგინა. ზრდა განპირობებულია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მატებით 537.2 მლნ ლარიდან 561.1 მლნ ლარამდე. მთლიან დეპოზიტებში არარეზიდენტთა დეპოზიტების წილი გაიზარდა 1.1 პროცენტული პუნქტით და 11.9 პროცენტი შეადგინა.


მთლიანი დეპოზიტების მსგავსად შემცირდა დოლარიზაცია ფიზიკური პირებისგან მოზიდულ დეპოზიტებში - 87.5 პროცენტიდან 86.5 პროცენტამდე. ასევე შევნიშნოთ, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ვადიანი დეპოზიტების 83.5 პროცენტი საგალუტო დეპოზიტია, რაც ლართან შედარებით უცხოური ვალუტისადმი უფრო მეტ ნდობაზე მეტყველებს, როგორც დეპოზიტორთა, ასევე ბანკების მხრიდან.

დიაგრამა 3.14


ლარის დეპოზიტების შემადგენლობა

**დიაგრამა 3.15**

უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემადგენლობა

**დიაგრამა 3.16**

საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოზიდულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.6 პროცენტს გაუტოლდა. საპროცენტო განაკვეთი შემცირდა როგორც ეროვნული ვალუტით დენომინირებულ ნაკადებზე, 11.9 პროცენტიდან 11.7 პროცენტამდე, ასევე უცხოური ვალუტით დენომინირებულ ზე, 8.2 პროცენტიდან 8.1 პროცენტამდე. ასევე უნდა აღინიშნოს, წინა კვარტალის მსგავსად, სხვაობა სენებულ ნაკადებზე არსებულ განაკვეთებს შორის საკმაოდ მაღალია და 3.6 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ეს ფაქტი, სავარაუდოდ, წამახალისებელი მიზეზი უნდა გახდეს დეპოზიტების ნაწილობრივი დედობლარიზაციისთვის.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ეროვნული ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე განაკვეთების შემცირება 0.5 პროცენტული პუნქტით 11.2 პროცენტამდე, ხოლო რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს (ეროვნულ ვალუტაში), მათზე საპროცენტო სარგებელმა იმატა 12.2 პროცენტიდან 12.3 პროცენტამდე.

თუ განაკვეთებს მთლიან არასაბანკო დეპოზიტებზე შევადარებთ წინა წლის მეორე კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ეროვნული ვალუტის შემთხვევაში სახეზე გვაქვს ზრდა 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში კი - 0.1 პროცენტული პუნქტით. საზოგადოდ, საბაზრო შენონილი განაკვეთი გაზრდილია 0.4 პროცენტული პუნქტით.

2011 წლის მეორე კვარტალში საბანკო სექტორმა მიიღო 75.2 მლნ ლარის ოდენობის მოგება, რაც 53.2 მლნ ლარით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მარტთან შედარებით უკუგებამ კაპიტალზე 3.3 პროცენტული პუნქტით იმატა 13.3 პროცენტამდე, ხოლო უკუგება აქტივებზე გაიზარდა 1.6 პროცენტიდან 2.2 პროცენტამდე. რაც შეეხება საზღვანმეტედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს, მან საანგარიშო პერიოდში იკლო 17.3 პროცენტიდან 16.5 პროცენტამდე.

3.5 გაცვლით კურსი მოქმედი ფაქტორები

მოგეხსენებათ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობა ნარმოადეგენს. ამდენად მნიშვნელოვანია ყველა იმ ფაქტორის მონიტორინგი და ღრმა ანალიზი რაც ფასების სტაბილურობაზე ახდენს გავლენას. ზოგადად ითვლება რომ მცირე ლია ეკონომიკის ქვეყნებში მჭიდრო კავშირი არსებობს გაცვლით კურსსა და ინფლაციას შორის. ერთი მხრივ, გაცვლითი კურსი განსაზღვრავს იმპორტირებული საქონლის ფასს, ამ უკანასკნელის წილი საკმაოდ მაღალია ქართულ სამომხმარებლო კალათაში, ხოლო, მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის ცვლილება, საგაჭრო უპირატესობის (*Terms of Trade*) შეცვლით, იწვევს მოთხოვნის გადანაცვლებას შიდა ბაზრიდან იმპორტზე ან პირიქით. გაცვლითი კურსის რისკი აგრეთვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბანკო სექტორისათვის. ნაწილობრივ დოლარიზებულ ეკონომიკაში მსესხებლები არ არიან სათანადო ჰეკირებული, რაც ბანკებისათვის წარმოშობს გაცვლითი კურსის შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკს⁴.

2011 წლის მეორე კვარტალში ლარის გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია დაფიქსირდა თუმცა შეინიშნებოდა მცირე მერყეობები. ლარის ნომინალურმა გაცვლითმა კურსმა დოლართან მიმართებაში საშუალოდ 1.6654 შეადგინა და მეორე კვარტალში კუმულაციურად 2.3 პროცენტით გამყარდა (იხ. დიაგრამა N 3.17). ევროსთან მიმართებაში ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსი კვარტალის ბოლო მონაცემით არ შეცვლილა, საშუალო კვარტალურმა მაჩვენებელმა 2.3974 შეადგინა. ფუნტ სტერლინგთან მიმართებაში პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ჯერ ლარის გაუფასურება, შემდეგ კი მისი ეტაპობრივი გამყარება. 2011 წლის აპრილ-ივნისში ეროვნული ვალუ-

ტის ნომინალური გაცვლითი კურსი ფუნტ სტერლინგთან მიმართებაში გამყარდა 2.5 პროცენტით და კვარტლის ბოლოს 2.6726 ნიშნულზე გაჩერდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებამ, საანგარიშო პერიოდში კუმულაციურად 3.0 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, 2011 წლის მეორე კვარტალში მისი მაჩვენებელი 1.6 პროცენტით გაუფასურდა. ნომინალურისაგან განსხვავებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება გამოწვეული იყო საქართველოში სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი შემცირებით მის საგაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით.

აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებით დგინდება. ზოგადად, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას ძირითადად იმპორტი განაპირობებს, რაც ექსპორტით და უცხოური კაპიტალის შემოდინებით უნდა ბალანსდებოდეს. 2011 წლის მეორე კვარტალში, ლარის გაცვლითი კურსის გამყარებას განაპირობებდა რამდენიმე ფაქტორი. მათ შორის აღსანიშნავია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები, კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცმული სესხების უფრო სწრაფი ზრდა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებთან შედარებით. აგრეთვე მიმდინარე კვარტალში გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად შენარჩუნდა საერთაშორისო ბაზრებზე შენარჩუნებული დოლარის გაუფასურების ტენდენცია რაც, წარმოშობდა ლარის გამყარების მოლოდინებს.

2011 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 173.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის

⁴ იხ.: ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2009.

ანალოგიურ მაჩვენებელს 2.3-ჯერ აღემატება. ინვესტიციების შემოდინებამ თავის მხრივ გამოიწვია უცხოური ვალუტის მიწოდების ზრდა. ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნას წარმოშობდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და კურსს გამყარების მიმართულებით უბიძებდა. 2011 წლის მეორე კვარტალში გაზრდილია უცხოეთოდან განხორციელებული გზავნილების მოცულობა. აპრილი-ივნისის განმავლობაში ქვეყანაში შემოსულმა გზავნილებმა 282.1 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 26.1 ხლომ წინა კვარტლის მაჩვენებელს 24.0 პროცენტით აღემატება. მეორე კვარ-

ტალში საქართველოდან უცხოეთში განხორციელებული გზავნილები 19.9 მილიონი დოლარი იყო, 2.3 პროცენტით მეტი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მეტად ზრდა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებთან შედარებით. 2011 წლის აპრილ-ივნისში ბანკების საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტით გაცემული სესხები 255.8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა, როდესაც ეროვნული ვალუტით სესხების ზრდამ 227.9 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის მიერ გაცემული სესხების აღნიშნული თანაფარდობა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გამყარებას იწვევდა. ლარის გამყარების მოლოდინს აძლიერებდა ეპროსთან მიმართებაში დოლარის გაუფასურების ტენდენციის შენარჩუნება რამაც თავისი წვლილი შეიტანა უცხოური ვალუტის მოთხოვნის ფორმირებაში.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ ეროვნული ბანკის მიერ მოწყობილი სავალუტო აუქციონები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოთხოვნა-მინოდების დროებითი დისბალანსით გამოწვეული კურსის მკვეთრი მოძრაობების თავიდან ასაცილებლად. 2011 წლის მეორე კვარტალში სავალუტო აუქციონებზე საქართველოს ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 35 მილიონი დოლარი შეადგინა.


შემთხვევა 3.17

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა (2009-2011 წლები)




შემთხვევა 3.18

ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2007-2011 წლები)




დიაგრამა 3.19

სავალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები (მილიონი აშშ დოლარი)



დიაგრამა 3.20

საქართველოს მიმდინარე ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის დონამიკა (მილიონი აშშ დოლარი)




უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ეკონომიკის დოლარიზაციის დონე. 2011 წლის მეორე კვარტალში საერთაშორისო ბაზრებზე დოლარი კვლავ გაუფასურდა ევროს მიმართ, რამაც თავისი წვლილი შეიტანა ლარზე მოთხოვნის განსაზღვრაში.

საანგარიშო პერიოდში შემცირდა როგორც სესხების, აგრეთვე დეპოზიტების დოლარიზაციის დონე. სესხების დოლარიზაციის დონე 2011 წლის პირველი კვარტლის პერიოდის ბოლო მონაცემთან შედარებით 1.9 პრცენტული პუნქტით, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაციის დონე შესაბამისად 1.2 პრცენტული პუნქტით შემცირდა.


დიაგრამა 3.21

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მილიონი დოლარი



დიაზრაბა 3.22
სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტები



3.6 გამოშვება და მოთხოვნა

2011 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.8 პროცენტით გაიზარდა. ნომინალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ კი 20 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, მშპ-ის დეფლატორი წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით 13.4 პროცენტით გაიზარდა.

კვარტალური მშპ-ის რეალურ წლიურ ზრდაში უდიდესი წვლილი დამატუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის და საფინანსო საქმიანობის სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების მატებამ შეიტანა. მშპ-ის რეალურ ზრდაში საგრძნობი წვლილი ასევე შეიტანეს ეკონომიკის შემდეგმა სექტორებმა: „ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება, და განაწილება“, „ვაჭრობა“, „კავშირგაბმულობა“, და „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“.

ქვეყნის მშპ-ის ზრდაში შედარებით მცირე წვლილი შეიტანეს „სასტუმროები და რესტორნების“, „სახელმწიფო მმართველობის“, ასევე „განათლების“ სექტორებმა. გარკვეული შემცირება აღინიშნა შემდეგ სექტორებში: „პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ“ და მშენებლობაში. დანარჩენ სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების ცვლილებებმა რეალური მშპ-ის წლიურ ზრდაზე უმნიშვნელო გავლენა მოახდინა.

ცხრილი N 3.3


ეკონომიკური სექტორების წვლილი ქვეყნის რეალურ მშპ-ის ზრდაში
2011 წლის | კვარტალი, (%)

	ნინა წლის ნომინალური ნონები	რეალური ზრდები	წვლილი ზრდაში
სოფლის მეურნეობა, ნადარობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	7.9%	1.7%	0.1%
სამთომობოვებითი მრეწველობა	0.8%	1.6%	0.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	8.3%	8.6%	0.7%
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	3.1%	12.4%	0.4%
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.2%	-5.5%	-0.1%
მშენებლობა	3.9%	-3.3%	-0.1%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	14.3%	2.5%	0.4%
სასტუმროები და რესტორნები	2.0%	8.6%	0.2%
ტრანსპორტი	7.4%	9.1%	0.7%
კავშირგაბმულობა	3.5%	7.6%	0.3%
საფინანსო საქმიანობა	2.7%	24.0%	0.6%
ოპერაციები უძრავი ქონებით, ივგარა და კომერციული მომსახურება	2.9%	9.5%	0.3%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	3.3%	2.8%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	9.7%	1.9%	0.2%
განათლება	5.0%	3.8%	0.2%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	6.7%	1.1%	0.1%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	3.8%	1.6%	0.1%
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მომზარებისთვის	0.1%	16.8%	0.0%
ფინანსური შუამაღლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-1.4%	27.4%	-0.4%
შპ საპაზიო ფასებში	86.2%	4.2%	
გადასახადები პროდუქციაზე	14.4%	16.6%	2.4%
სუბსიდიები პროდუქციაზე	0.6%	31.4%	-0.2%
შპ საპაზო ფასებში	100.0%	5.8%	5.8%

ზემოთ ჩამოთვლილი მზარდი სექტორებიდან პოსტკრიზისულ პერიოდში (2010-11 წლები) სტაბილურად მაღალი ზრდით მხოლოდ „დამამუშავებელი მრეწველობა“ ხასიათდება. ბოლო კვარტალებში სწრაფად მზარდი დანარჩენი სექტორები კი, მიუხედავად ნაჩვენები პროგრესისა, მდგრადი ზრდით არ ხასიათდებიან.

ბოლო ერთი წლის მონაცემებით, ზომიერი ზრდის ტენდენცია ახასიათებს „ფინანსურ საქმიანობას“, „განათლებას“ და „სახელმწიფო მმართველობას“. აღნიშნულ პერიოდში, ამ სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების სეზონურობაზე დაკორექტირებულ მონაცემებს მატების მკაფიო ტენდენცია გააჩნდათ. ამავე ანალიზის მიხედვით, ბოლო ორი კვარტალის სეზონურად შესწორებული მშენებლობის სექტორის დამატებითი ღირებულების მონაცემები საგრძნობი კლებით ხასიათდება.

დიაგრამა 3.23
საქართველოს მშპ-ის წამყვანი სექტორების რეალური ზრდის დინამიკა 2005-2011 წლის I კვარტალი



ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკის უმსხვილესი სექტორების რეალური ზრდა არა-ერთგაროვნი იყო. 2010 წელს მათი უმრავლესობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 3.23), ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს ზრდა გარკვეულწილად შენელდა, რაც ძირითადად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების და დასაქმების დაბალი ზრდის შედეგია.

3.6.1 პერძო და სახელმწიფო მოხმარება

როგორც აღვნიშნეთ, 2011 წლის პირველ კვარტალში ნომინალური მშპ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს, სეზონურობის ეფექტის გამორიცხვით, ამ მაჩვენებლის ზრდა წინა, 2010 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 5.2 პროცენტის ტოლი იყო.

საანგარიშო პერიოდში ნომინალური მშპ-ის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა მისი გამოყენების ყველა კატეგორიაში დაფიქსირებული ზრდის შედეგია. კერძოდ, პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯები - 16 პროცენტით, მთლიანი კაპიტალის ფორმირება - 80 პროცენტით, ექსპორტი და იმპორტი კი - 31 პროცენტით გაიზარდა.

2011 წლის პირველ კვარტალში მთლიანი საბოლოო მოხმარების უმსხვილესი შემადგენელი ნაილი, „შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარება“ მნიშვნელოვნად (20 პროცენტით) გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სამომხმარებლო ფასების ზრდის ეფექტის გამორიცხვით, შინამეურნეობების მიერ რეალური საბოლოო მოხმარება⁵ წლიურად დაახლოებით 5.7 პროცენტით გაიზარდა.

⁵ შინამეურნეობების წილად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანი საბოლოო მოხმარების 82.3% მოდიოდა

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სახელმწიფო მართვის ორგანოების დანახარჯებით თითქმის არ შეცვლილა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურ გამოხატულებაში (ფასების ზრდის ეფექტის გათვალისწინებით) სახელმწიფო დანახარჯები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია.

მთლიანობაში, 2011 წლის პირველ კვარტალში, რეალური სამოხმარებლო დანახარჯების ზრდას მაჩვენებელი რეალური მშპ-ის წლიური ზრდის მაჩვენებელს (5.8 პროცენტი) საკმაოდ ჩამოუვარდებოდა. საბოლოო მოხმარებაზე მთლიანი დანახარჯების რეალურმა ზრდამ, სამოხმარებლო ფასების ინდექსის ზრდის გათვალისწინებით, მხოლოდ 2.2 პროცენტი შეადგინა.

2010 წლის პირველ კვარტალთან შედარებით თითქმის ერთი მესამედით (31 პროცენტით) გაიზარდა როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტის, ასევე იმპორტის მოცულობები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ამგვარი მატება გარკვეული იღება სავაჭრო საქონელზე ფასების წლიური ზრდის შედეგი იყო.

3.6.2 ინვესტიციები

2011 წლის პირველ კვარტალში ძირითად კაპიტალში ინვესტირების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 81.3 პროცენტი შეადგინა. ამაში დაახლოებით თანაბარი წვლილი შეიტანეს როგორც შიდა, ისე უცხოეთიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა. საანგარიშო პერიოდში, 2010 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად (70 პროცენტით) მოიმატა „საწარმოთა მარაგების ცვლილების“ სიდიდემ, თუმცა მიღწეული მარაგების ზრდის დონე კვლავაც ჩამოუვარდება კრიზისამდელ ნომინალურ ზრდას.

მთლიანობაში, 2010 წლის მეოთხე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით „კაპიტალის მთლიანი ფორმირების“ მნიშვნელოვან ზრდას (79.5 პროცენტით) ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, 2011 წლის პირველი კვარტალში „მთლიანი კაპიტალის ფორმირების“ მოცულობა კერ კიდევ ჩამოუვარდება კრიზისამდელი პერიოდის ნომინალურ მაჩვენებელს, თუმცა აღსანიშნავია $2009-10$ წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტირების სწრაფი აღმასვლა, რაც ეკონომიკაში საწარმოო სიმძლავრეების სტაბილურ ზრდას მოასწავებს.


3.6.3 2011 წლის პროგნოზი

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის პირველ კვარტალში ნავარაუდევი მშპ-ის 5.8 -პროცენტიანი რეალური წლიური ზრდა საქსტატის მიერ ივნისში გამოქვეყნებულ ფაქტობრივ მონაცემთან სრულ შესაბამისობაშია.

არსებული სექტორული და აგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, 2011 წლის მეორე კვარტალში მშპ-ის დაახლოებით 3.5 -პროცენტიან რეალური წლიური ზრდა არის მოსალოდნელი. ეს პროგნოზი, სექტორების დამატებითი ლირებულების საპროგნოზო მაჩვენებლებთან ერთად, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდის (რამაც 2011 წლის მეორე კვარტალში 17.5 % შეადგინა) და ასევე, მეორე კვარტალში მნარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების დონის დინამიკის მაჩვენებლებს ეფუძნება.

სავარაუდო, 2011 წლის მეორე კვარტალში რეალური მშპ-ის 3.5 -პროცენტიან წლიურ ზრდას ძირითადად განაპირობებენ ვაჭრობის (1.3 პროცენტი წვლილით მშპ-ის ზრდაში), დამამუშავებელი მრეწველობის (0.8 პროცენტი), საფუინანსო საქმი-

დიაგრამა 3.24
საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა
2003-2011⁶ წწ.(%)



ანობის (0.5 პროცენტი), ტრანსპორტის (0.4 პროცენტი), სოფლის მეურნეობის (0.2 პროცენტი) და კაშირგაბმულობის (0.2 პროცენტი) სექტორები. საქმაოდ მაღალი ზრდის წყალობით, მშპ-ის მატებაში დადებით წვლილს შეიტანენ ასევე შემდეგი დარგები: „სასტუმროები და რესტორნები“ და „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“.

საბოლოო გამოყენების მიხედვით, 2011 წლის მეორე კვარტალში ნომინალური მშპ საკარაუდოდ 14 პროცენტით გაიზრდება. ამის ძირითადი განმაპირობებელი „საბოლოო მოხმარების“ კატეგორიის დაახლოებით 12-პროცენტიანი წლიური ზრდა იქნება, რასაც თავის მხრივ, შინამეურნეობების ნომინალური დანახარჯების მატება გამოიწვევს. მთლიანობაში, 2011 წლის მშპ-ის რეალური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლის სიდიდე დაახლოებით 5.5 პროცენტს შეადგენს.

⁶ 2011 წლის ზრდა საპროგნოზო შეფასებას წარმოადგენს.

ჩანართი 1. ახალი კეისზიანური მოდელი საქართველოს ეკონომიკური სტატუსის შემთხვევაში

2010 წლის ივნისში საქართველოს ეროვნულ ბანკში დაიწყო საერთაშორისო საგალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური მისია მაკროეკონომიკური მოდელირების გაუმჯობესების მიზნით. ამ მისიას მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავება და მონეტარული პოლიტიკის ფორმულირებაში მისი გამოყენების დაწერვა.

ამ პროექტის მიმღინარეობის ერთი წლის მანძილზე მოხდა დინამიკური სტოქასტური მოდელირების თეორიული საფუძვლების გაცნობა, მოდელისთვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნა, საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით მოდელის აგება და მისი პრაქტიკაშიგამოყენების უნარ-ჩვევების დაწერვა.

ამ ტიპის მოდელები წარმოადგენს შედარებით ახალ თაობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი კეინზიანური მიდგომა და რომლის გამოყენებაც ბოლო წლებში აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა ცენტრალურ ბანკში. ახალი კეინზიანური მიდგომის განსხვავება მანამდე არსებული მოდელებისგან გამოიხატება იმ დაშვებებში, რომლებზეც ეს მოდელებია აგებული. ახალი კეინზიანური მოდელის დაშვებებს განეკუთვნება: მონოპოლისტური კონკურენცია-პროდუქციისა და საწარმოო საშუალებების ფასები განისაზღვრება კერძო ეკონომიკური აგენტების მიერ, რომლებიც ახდენენ თავიანთი მოგების მაქსიმიზაციას და არ განიხილავენ ფასებს როგორც მოცემულს, რომლებზეც გავლენის მოხდენის საშუალება მათ არ გააჩნიათ;

მეორე დაშვება დაკავშირებულია ნომინალურ სიხისტესთან. კერძოდ, ფირმებს გააჩნიათ შეზღუ-

დვა თავიანთ პროდუქციასა და მომასახურებაზე ფასების ცვლილების სიხშირესთან დაკავშირებით ან ფასების ხშირი ცვლილება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან;

მესამე განსხვავება ეხება დაშვებას, რომლის მიხედვითაც მონეტარული პოლიტიკა არ არის ნეიტრალური მოკლევადიან პერიოდში. ეს დაშვება ემყარება საპროცენტო განაკვეთების გადაცემის მექანიზმის არსებობას, რაც გულისხმობს რომ ცენტრალური ბანკის მიერ მოკლევადიანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ინვესტ მოსალოდნელი ინფლაციის თანაბარ ცვლილებას და შესაბამისად გავლენას ახდენს რეალურ საპროცენტო განაკვეთზე. ამ უკანასკნელის ცვლილება კი ინვესტ მოხმარებისა და ინვესტიციების დაამის შედეგად წარმოებისა და დასაქმების ცვლილებას.

მოდელი დაბალანსებულია, ერთი მხრივ, ემპირიულად სასურველი თვისებებით და, მეორე მხრივ, სტოქასტური ზოგადი წონასწორობის (DSGE) მიდგომით, სადაც გათვალისწინებულია მიკრო-კონომიკური საფუძველი და ბაზრის მოლოდინები, რაც მოდელს მომავალზე ორიენტირებულს ხდის და მონეტარულ პოლიტიკაში ექსპერიმენტებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. მოდელის განტოლებები არის სტრუქტურული და მის შემადგენელ ყველა განტოლებას გააჩნია ეკონომიკური მნიშვნელობა.

ასეთი ტიპის სტრუქტურული მოდელები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი საშუალებას იძლევიან ერთ მთლიან სტრუქტურაში მოხდეს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ანალიზი და მათი

ურთიერთზემოქმედების შესწავლა. ამასთან ერთად, მოდელის სტრუქტურა საშუალებას იძლევა მოხდეს ფართო ეკონომიკური შეხედულებების მოდელის პროგნზირებაში გათვალისწინება და სხვადასხვა დაშვებებით მიღებული შედეგების შედარება. ასევე ეხმარება ცენტრალური ბანკის თანამშრომლებს მოახდინონ თავიანთი შეხედულებების, მსჯელობების და პროგნზების სტრუქტურული ჩამოყალიბება და მათი მოდელში გამოყენება.

ამ ტიპის მაკროეკონომიკური მოდელების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ინფლაციის თარგეთირების მქონე ცენტრალური ბანკებისათვის, რადგან წარმატებული მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაცია და მათთვის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების დასაბუთებული ახსნა-განმარტება, რათა მოხდეს მოლოდინების სწორი ჩამოყალიბება სასურველი შედეგების მისაღწევად.

აღნიშნული მოდელის ძირითადი ეკონომიკური ბლოკი შედგება შემდეგი განტოლებებისაგან:

I. ერთობლივი მოთხოვნის განტოლება, რომელიც რეალურია გრეგორებული გამოშვების გაპს აკავშირებს წარსულ და მოსალოდნელ მნიშვნელობებთან, რეალურ საპროცენტო განაკვეთებთან და რეალურ გაცვლითკურსთან;

$$\begin{aligned} ygap_t &= \beta_{ld} ygap_{t+1} + \beta_{lag} ygap_{t-1} - \\ &\quad \beta_{RR} RRgap_{t-1} + \beta_{zgap} zgap_{t-1} \\ &\quad + \beta_y^{ROW} ygap_t^{ROW} + \varepsilon_{ygap_t} \end{aligned}$$

II. ფილიპსის განტოლება, რომელიც წარმოადგენს ფასების ფორმირების განტოლებას და გვიჩვენებს ინფლაცია თუ როგორაა დამოკიდებული წარსულ და მოსალოდნელ ინფლაციაზე, გაცვლით კურსსა და წარმოების სხვაობაზე (Output gap);

$$\begin{aligned} \pi_t &= \alpha_{\pi ld} \pi 4_{t+4} + (1 - \alpha_{\pi ld}) \pi 4_{t-1} \\ &\quad + \alpha_{ygap} ygap_{t-1} + \alpha_z (z_t - z_{t-1}) \\ &\quad + \alpha_0 \pi RPoil_t + \alpha_1 \pi RPoil_{t-1} + \varepsilon_{\pi_t} \end{aligned}$$

III. ტეილორის ნესი (Taylor Rule), რომელიც მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქციის გამომხატველია და წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის, როგორც წარმოების სხვაობისა და მოსალოდნელი ინფლაციის ფუნქციის, განსაზღვრის ნესს.

$$\begin{aligned} i_t^{N BG} &= \gamma_{lag} i_{t-1}^{N BG} \\ &\quad + (1 - \gamma_{lag}) (RR_t^* + \pi 4_t - spr_t + \gamma_\pi [\pi 4_{t+4} - \pi^*_{t+4}] \\ &\quad + \gamma_{ygap} ygap_t + \gamma_{fx} dfx_t) + \varepsilon_{RS_t} \end{aligned}$$

IV. დაუზღვეველი საპროცენტო განაკვეთების პარიტეტი, რომელიც გაცვლითი კურსის მოსალოდნელ დინამიკას უკავშირების საპროცენტო დიფერენციალს და ქვეყნის რისკ პრემიუმს.

$$z_t = \delta_z z_{t+1} + (1 - \delta_z) z_{t-1} - (RR_t - RR dep_t^{ROW} - \rho_t^*)/4 + \varepsilon_{z_t}$$

სადაც y არის მშპ, RR — რეალური საპროცენტო განაკვეთი, z — რეალური გაცვლითი კურსი; π არის ინფლაციის განლიურებული კვარტალური ცვლილება, $\pi 4$ — სამომხმარებლო ფასების ინდექსის ოთხი კვარტალის ცვლილება, ხოლო $\pi RPoil$ — ნავთობის ფასის ინფლაცია. $i^{N BG}$ აღნიშნავს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს, RR^* რეალური საპროცენტო განაკვეთის წონასწორულ დონეს, ხოლო spr — მოკლევადიან წომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ეროვნულის.

ლი ბანკის რეფინანსირების განაკვეთს შორის სხვაობას, dfx – კი ნომინალური გაუფასურებაა. $RRdep_{ROW}^{ROW}$ – *Offshore-based* რეალური განაკვეთია, ρ^* რისკ პრემიუმის წონასწორული დონე. რაც შეეხება ε , იგი შესაბამის ცვლადთან დაკავშირებული შოკია. $\alpha, \beta, \gamma, \delta$ კოეფიციენტებია რომელთა მნიშვნელობები დგინდება კალიბრაციისა და შეფასებების შედეგად.

მოდელში საქართველოს ეკონომიკის გარდა წარმოდგენილია მსოფლიო, რომელთანაც საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აქვს. საგარეო სექტორის მოდელში ჩართვის მიზანია მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ქართულ ეკონომიკაზე გავლენის შესწავლა.


ამ მოდელის გამოყენებით საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალება მიეცემა გააუმჯობესოს მაკროეკონომიკური მოდელირება და პროგნოზირება, რაც ხელს შეუწყობს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტიანად და საფუძვლიანად ფორმირებას. ზოგადი პროგნოზირების გარდა ამ მოდელის გამოყენებით შესაძლებელია საბაზისო და ალტირნატიული სცენარების განხილვა და ანალიზი, სხვადასხვა ეგზოგენური და ენდოგენური შოკების მოდელის შედეგებზე გავლენის შესწავლა, განსხვავებული რისკების ანალიზი და ა.შ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის სტრუქტურა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი მუდმივი განახლება და გაუმჯობესება.

3.7 საბარეო ვაჭრობა

2011 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2214,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 39,3 პროცენტით აღემატებოდა. აქედან საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი, 572,3 მილიონი აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 51,0 პროცენტით აჭარბებდა. საქონლის რეგისტრირებულმა იმპორტმა, იგივე პერიოდისთვის, 1641,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 35,6 პროცენტით გადააჭარბა. შედეგად, 2011 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, სავაჭრო დეფიციტი გაღრმავდა და 1069,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 28,7 პროცენტით აღემატებოდა.

დისტაბა N 3.25

ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და სავაჭრო ბრუნვა (ათასი აშშ დოლარი)



2011 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 23,0 პროცენტით, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი, შესაბამისად, 14,2 პროცენტით და 10,0 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქონლის რეგისტრირებულ ექსპორტში, პირველ პოზიციაზე, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი იყო. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,1-ჯერ, ხოლო გასულ კვარტალთან შედარებით - 58,7 პროცენტით გაიზარდა. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის უდიდესი ნაწილი (62,0 პროცენტი) ყაზახეთში განხორციელდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი ძირითადად მეზობელ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ტრადიციულად ქართული ექსპორტის წამყვანი საქონლის, ფეროშენადნობების, ექსპორტი 2011 წლის მეორე კვარტალში მეორე პოზიციაზე იყო. აღნიშნული საქონლის ექსპორტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,4 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 25,0 პროცენტით გაიზარდა. ფეროშენადნობების ექსპორტი უმთავრესად ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთსა და უკრაინაში განხორციელდა. აზოტოვანი სასუქების ექსპორტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად, 68,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებაში 19,7 პროცენტით შემცირდა. ზრდა განაპირობა როგორც საექსპორტო ფასების, ასევე საქონლის მოცულობის მატებამ. თუმცა ფასის ცვლილების ეფექტი მოცულობის ცვლილების ეფექტან შედარებით გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. აზოტოვანი სასუქების ექსპორტის უმტესი ნაწილი საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთსა და თურქეთში განხორციელდა. ოქროს ექსპორტი, რო-

მელიც მეზუთე პოზიციაზე იყო, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 75,0 პროცენტით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 5,6 პროცენტით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში გაზრდილია შავი და ფერადი ლითონების ექსპორტიც.

2010 წლის მეორე კვარტალიდან საექსპორტო ათეულში გამოჩნდა ახალი დასახელების სამრეწველო საექსპორტო საქონელი, ნახშირბადიანი ფოლადის ნეელები (არმატურა), რომლის ექსპორტის ღირებულებამ საანგარიშო პერიოდში 19,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მეშვიდე პოზიციაზე იყო. აღნიშნული საქონლის ექსპორტირება აზერბაიჯანში, სომხეთში, ლიბანსა და ირანში მოხდა. მინერალური ნებულების ექსპორტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 65,4 პროცენტით გაიზარდა და 16,5 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. მინერალური ნებულების ექსპორტის თითქმის ნახევარი უკრაინაში განხორციელდა; შემდეგი მსხვილი იმპორტიორი ყაზახეთი იყო (19,5 პროცენტი). ღვინის ექსპორტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36,6 პროცენტით იყო გაზრდილი და 13,7 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. ღვინის ექსპორტის თითქმის ნახევარი უკრაინაში განხორციელდა; შემდეგი ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ყაზახეთი იყო (21,1 პროცენტი). ელექტროენერგიის ექსპორტი 11,2 პროცენტით გაიზარდა და 14,4 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა.


2011 წლის მეორე კვარტალში საექსპორტო საქონლის პირველ ათეულს შეადგენდა: მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართა, მინერალური სასუქები, ოქრო, სპილენძის მადანი, ნახშირბადიანი ფოლადი ნეელები (არმატურა), მინერალური ნებულები, სპილენძის ჯართა და ელექტროენერგია. ამავე პერიოდში ექსპორტირებული საქონლის 2,2 პროცენტი საინვესტიციო საქონელი იყო, 54,1 პროცენტი — შუალედური მოხმარების და 43,5 პროცენტი — სამომხმარებლო.

რაც შეეხება იმპორტს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნავთობპროდუქტების იმპორტი ტრადიციულად პირველ პოზიციაზე იყო. ნავთობპროდუქტების იმპორტი განაგრძობდა ზრდას წლიური 17,6 პროცენტიანი ზრდის ტემპით, რაც მთლიანად საერთაშორისო ფასების ზრდით იყო განპირობებული. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომელიც მეორე პოზიციაზე იყო, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 15,2 პროცენტით გაიზარდა. ნავთობის აირების იმპორტის წლიურმა ზრდის ტემპმა 34,3 პროცენტი შეადგინა და 27,3 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2011 წლის მეორე კვარტალში, შავი ლითონისგან დამზადებულმა კონსტრუქციების იმპორტმა 31,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული საქონელი ძირითადად სარკინიგზო მშენებლობისათვის იყო განკუთვნილი.

2011 წლის მეორე კვარტალში იმპორტის 13,6 პროცენტს საკვები პროდუქტები შეადგენდა. აქედან, 18,2 პროცენტს (მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 2,5 პროცენტი) ხორბალი და სხვა მარცვლეული. ხორბლის შემდეგ საკვები პროდუქტების იმპორტში ყველაზე დიდი წილი ბოსტნეულის იმპორტს ეჭირა (კვების პროდუქტების 11,7 პროცენტი). შემდეგ პოზიციაზე იყო ხორცის პროდუქტები, (კვების პროდუქტების 11,4 პროცენტი) წლიური 58,9 პროცენტი ზრდის ტემპით. შაქრის და მისგან დამზადებული საკონდიტრო ნანარმის იმპორტი საკვების იმპორტის 8,1 პროცენტს შეადგენდა, წლიური 70,6 პროცენტი ზრდის ტემპით. თამბაქოს და ალკოჰოლური ნანარმის იმპორტი მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 2,4 პროცენტს შეადგენდა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21,3 პროცენტით იყო გაზრდილი.

დიაგრამა N 3.26

ნამცვანი საექსპორტო პროდუქცია 2010 წლის და 2011 წლის მეორე კვარტალებში. (ათასი აშშ დოლარი)



2011 წლის მეორე კვარტალში იმპორტირებული საქონლის 14,7 პროცენტი საინვესტიციო საქონე-ლი იყო, 38,1 პროცენტი — შუალედური მოხმარების და 46,5 პროცენტი — სამომხმარებლო.

2011 წლის მეორე კვარტალში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: ყაზახეთი (მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ხარჯზე), აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, აშშ, უკრაინა, კანადა, ბულგარეთი, რუსეთის ფედერაცია და საფრანგეთი. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 80,9 პროცენტი.

იმპორტის მიხედვით უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ჩინეთი, გერმანია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, და რუმინეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 70,5 პროცენტი მოდიოდა.

ჩანართი 2. საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემა (WSS)

ეროვნულ ბანკში სისტემური რეფორმების აქტიური ფაზა 2008 წლიდან დაიწყო. 2009 წელს აშშ-ის განვითარების სააგენტომ საქართველოს ეროვნულ ბანკს 3.29 მლნ აშშ დოლარის გრანტი გამოუყო, რაც იყო დახმარება საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემური და ინსტიტუციონალური განვითარებისათვის. ერთდროულად დაიწყო რამდენიმე მასშტაბური პროექტის განხორციელება, რაც რადიკალურად ცვლიდა ანგარიშსწორების, საგადახდო, ფასიანი ქაღალდების და საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემებს. 2011 წელს საერთაშორისო რეზერვების მართვის ახალი სისტემის ექსპლუატაციაში გაშვებით ეროვნული ბანკის სისტემური და ინფრასტრუქტურული რეფორმის პროცესი დასრულდა. აღნიშნული სისტემა მჭიდროდ არის ინტეგრირებული ბანკის სხვა სისტემებთან.

რეზერვების მართვის სისტემა არის ერთიანი პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა დროის რეალურ რეზიმში განხორციელდეს საინვესტიციო საქმიანობა ანალიტიკური და საპროგნოზო ასპექტების გათვალისწინებით. კერძოდ:

- ავტომატიზირებული და „წესებზე“ დაფუძნებული პროცესები, როგორც ეროვნული ბანკის, ასევე გარე მენეჯერის საქმიანობისთვის;
- ახალი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა აქტიური პორტფოლიო მენეჯმენტისთვის შეფასებისა და რისკების ანალიზის მეთოდებით;
- ბიზნეს პროცესები საკორესპონდენტო საბანკო მომსახურეობის გასაწევად, ასევე სავალუტო ფონდის, აკრედიტივების და საკასო ოპერაციების წარმოებისათვის;
- შიდა სავალუტო ოპერაციები;
- გაფართოებული შესაძლებლობები ანგარიშგებისთვის;

- სცენარების ანალიზი და ლიმიტების კონტროლი;
- ავტომატიზირებული ანგარიშსწორება დროის რეალურ რეზიმში და ავტომატიზირებული ბუღალტრული აღრიცხვა;

სისტემის დანერგვით ეროვნულმა ბანკმა მიიღო მუდმივად განვითარებადი რეზერვების მართვის სისტემა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სტანდარტს ევროპის წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკებისათვის. სისტემას წამყვანი როლი უჭირავს ბაზრის აღნიშნულ სეგმენტზე, ხოლო მისი მწარმოებლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის რეზერვების მართვის სისტემა. სისტემის საშუალებით ხორციელდება რეზერვების მართვა ერთიან გარემოში რეალურ დროში, „ფრონთ ოფისიდან“ „ბექ ოფისამდე“ და ბუღალტერიის ჩათვლით. იგი ფარავს ცენტრალური ბანკის რეზერვების მართვასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას. სისტემა გვაძლევს ახალი ინსტრუმენტების შემოღების შესაძლებლობას, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს საინვესტიციო პორტფოლიის დივერსიფიკაცია და შემოსავლები.

ანალოგიური სისტემა მუშაობს 30 ცენტრალურ ბანკში, მათ შორის: გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, ისრაელის, პოლონეთის ცენტრალურ ბანკები და მისი მომარების არეალი განუწყვეტლივ ფართოვდება.

საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემის დანერგვაში ეროვნულ ბანკს დახმარებას უწევ და აშშ-ის ხაზინის ექსპერტი, მსოფლიო ბანკი, აგრეთვე ჰოლანდიის, ფინეთის, ისრაელის, გერმანიის და ხორვატიის ცენტრალური ბანკები.

3.8 სამთავრობო ოპერაციები

2011 წლის მეორე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1621,9 მლნ ლარი შეადგინა. გრანტების სახით მიღებულმა შემოსავალმა 64,4 მლნ ლარი, ხოლო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებმა 1557,5 მლნ ლარი შეადგინა. მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსავლები მშპ-ს⁷ 27,3 პროცენტია, რაც 5,6 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა კვარტალის მონაცემზე, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით კი არ შეცვლილა. საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მშპ-თან) 2011 წლის მეორე კვარტალში 25 პროცენტს შეადგენს, რაც 5,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია პირველი კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0,6 პროცენტული პუნქტით მოიმატა. მეორე კვარტალში მიღებულმა გრანტებმა მშპ-ს 1,1 პროცენტი შეადგინა.

(ცხრილი N 3.4
ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები. (მლნ. ლარი)


	2011 წლის II კვარტალი	თანაფარდობა მშპ-თან (2011 II)
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	1622	28,4%
შემოსავლები	1557	27,3%
საგადასახადო შემოსავლები	1426	25,0%
არასაგადასახადო შემოსავლები	131	2,3%
გრანტები	64	1,1%
მთლიანი ხარჯები	1793	31,4%
მიმდინარე ხარჯები	1456	25,5%
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	337	5,9%
დეფიციტი	-171	-3,0%
დეფიციტის დაფინანსება	171	3,0%
პრივატიზაცია	52	0,9%
თავისუფალი საპრეზიდენტის სახსრების გამოყენება	-64	-1,1%
საშინაო უსლენებელებების წმინდა ზრდა	31	0,5%
საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდა	152	2,7%

⁷ 2011 წლის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებელი (ამ ქვეთავში)

2011 წლის მეორე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის

მთლიანმა ხარჯმა 1793 მლნ ლარი შეადგინა, რაც 227 მლნ ლარით მეტია წინა კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 2,1 პროცენტით მოიმატა. მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები მეორე კვარტალში შესაბამისად 1456,3 მლნ და 336,7 მლნ ლარს შეადგენს. წინა კვარტალთან შედარებით კაპიტალური ხარჯები 2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 0,9 პროცენტით შემცირდა. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მშპ-სთან თანაფარდობა 31,4 პროცენტს შეადგენს: 0,8 პროცენტული პუნქტით მეტი წინა კვარტალთან შედარებით და 3,4 პროცენტული პუნქტით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

დიაგრამა N 3.27
ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა



2011 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 171 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 3 პროცენტს შეადგენს. დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო მეორე კვარტალში ვალდებულებების ზრდა იყო: საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდამ 152,1 მლნ ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების გამოშვების შედეგად დეფიციტი 54,7 მლნ ლარით დაფინანსდა. პრივატიზაციის შედეგად მობილიზებული იქნა 51,5 მლნ ლარი. შედეგად სამთავრობო დეპოზიტები ეროვნულ ბანკში 12,5 მლნ ლარით გაიზარდა.

2011 წლის მეორე კვარტალში ეროვნული ბანკის სარეზერვო ფული გაიზარდა 8,51 პროცენტით (130,4 მლნ ლარი). სარეზერვო ფულის ცვლილებაში სამთავრობო ოპერაციების წვლილი 0,23 პროცენტული პუნქტია. ამრიგად მეორე კვარტალში ფისკალური პოლიტიკას სარეზერვო ფულის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (25 პროცენტი) ჰქონდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე განეულ ხარჯებს (410,7 მლნ ლარი), რომელიც წარიმართა საერთო დანიშნულების ფულად ნაკადებზე მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობისა და ფინანსური და ფისკალური საქმიანობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე.

2011 წლის მეორე კვარტალში სახელმწიფო ხარჯების სიდიდით მეორე კატეგორიაა სოციალურ დაცვაზე განეული ხარჯები, რომელიც 340,2 მლნ ლარი (20,8 პროცენტი) შეადგინა. აღნიშნული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართა

ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე, სოციალური გაუცხოების საკითხების მოგვარებაზე და აგადმიყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ დაცვაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ წესრიგ-სა და უსაფრთხოებაზე დაიხარჯა 212,2 მლნ ლარი (13 პროცენტი). აღნიშნული კატეგორიის ხარჯები ძირითადად წარიმართაპოლიციის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის ხარჯების ანაზღაურებაზე, აგრეთვე სასჯელალსრულების დაწესებულებების, სასამართლოებისა და პროკურატურის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

2011 წლის ივნისის ბოლოსთვის მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალი წინა კვარტლის ბოლო მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 109 მლნ აშშ დოლარით 4,5 მლრდ აშშ დოლარამდე (თუმცა ლარებში გამოსახული საგარეო ვალი უმნიშვნელოდ გაიზარდა ლარის კურსის გამყარების გამო). 8 აპრილს საქართველოს მთავრობამ ლონდონის ბირჟაზე 500 მლნ აშშ დოლარის 10-წლიანი ევროობლიგაციები განათავსა, რითაც 2008 წლის აპრილში გამოშვებული (5-წლიანი) ევროობლიგაციების გადაფარვა („როლ-ოვერი“) განახორციელა. შესაბამისად ახალი ობლიგაციების განთავსებას ვალის ნაშთზე საგრძნობი გავლენა არ მოახდინა. რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს, იგი საანგარიშო პერიოდში 33 მლნ ლარით გაიზარდა. მეორე კვარტალის ბოლოსათვის მთლიანი სახელმწიფო ვალი 2011 წლის საპროგნოზო მშპ-ს 39,5 პროცენტს შეადგენს და უმნიშვნელოდ (0,1 პროცენტული პუნქტით) აღემატება პირველი კვარტალის მონაცემს. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი კრიტიკული ზღვარს (მშპ-ს 60 პროცენტს) მკვეთრად ჩამორჩება.

ჩანართი 3. 10 წლიანი ევრობლიბაციის გამოშვება

2011 წლის 7 აპრილს საქართველოს მთავრობამ გამოუშვა 10 წლიანი ვადიანობის 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევრობლინდები. ზოგადად, ევრობლინდები წარმოადგენს საერთაშორისო ობლიგაციებს, რომლებიც გამომშვები ქვეყნისთვის უცხოური ვალუტითაა დენომინირებული და ძირითადად გამოიყენება მთავრობების, კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო ბაზრებზე საჭირო ფულადი სახსრების მოსაძიებლად. საქართველოს შემთხვევაში ევრობლინდების გამოშვება მოხდა აშშ დოლარით და განთავსდა ევროპისა და ამერიკის საფონდო ბირჟაზე ფინანსური მომსახურების კომპანიების - *Goldman Sachs*-სა და *J.P Morgan*-ის მიერ. აღნიშნული ობლიგაციების გასტუმრება 2021 წლის 12 აპრილს უნდა განხორციელდეს.

საქართველოს მიერ პირველი ევრობლინდების გამოშვება 2008 წელს მოხდა ხუთი წლის ვადით, რომლის ნომინალურმა ღირებულებამ ასევე 500 მლნ დოლარი შეადგინა. 2011 წელს კი ახალი ევრობლინდებით მოხდა მთავრობის ძეველი ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლება. ახალი ობლიგაციების საშუალებით დაიფარა 2008 წელს განთავსებული 435.25 მლნ დოლარის ღირებულების ევრობლინდები, რითაც 2013 წელს გასასტუმრებელი ბონდების მოცულობა 64.75 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


ევრობლინდების ვადამდე გამოსყიდვა რამდენიმე მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ევრობლინდების დაფარვის ვადის გადაწევამ 2021 წლამდე შესაძლებელი გახდა დასაფარი ვალდებულებების მოცულობები გადაწანილებულიყო გრძელვადიან პერიოდზე. 2012 წლის ბოლოდან საქართველო იწყებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული

'Stand-By Arrangement (SBA)'-ის ვალდებულებების დაფარვას, რომელიც გამოყოფილ იქნა ორმაგი კრიზისის დაძლევისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის აღდგენის ხელშესაწყობად. 2013 წელს SBA-ს გადასახადი მაქსიმალურ ოდენობას აღწევს. 'Stand-By Arrangement'-თან ერთად ევრობლინდების გასტუმრება კი დიდ ტვირთად დააწვებოდა ქვეყანას 2013 წელს. ახალი ობლიგაციების გამოშვებაში კი შესაძლებელი გახდა ევრობლინდების ინვესტორთა ვალის დაფარვის ვადის გადაწევა 8 წლით.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ ევრობლინდების განთავსება მოხდა გაუმჯობესებული საკრედიტო რეიტინგის ფორმზე. 2011 წლის იანვარ-მარტის თვეებში საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების - *Fitch*-სა და *S&P*-ს მიერ მოხდა საქართველოს საკრედიტო რეიტინგის გაზრდა „სტაბილური-და“ „დადებითამდე“, რაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალზე და ხელი შეუწყო რისკის პრემიუმისა და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. ახალი ევრობლინდების საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია 2008 წელს განთავსებულთა განაკვეთებზე, რაც საპროცენტო ხარჯების შემცირებას იწვევს. 2011 წლის ევრობლინდების შემოსავლიანობამ (yield) 7.125 პროცენტი შეადგინა, კუპონურმა განაკვეთმა კი - 6.875 პროცენტი, მაშინ როდესაც 2008 წლის 5 წლიან ევრობლინდებზე დაფიქსირდა 7.5 პროცენტი კუპონური განაკვეთი. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ქვეყანა 7.5 პროცენტის ნაცვლად 6.875 პროცენტის ოდენობის კუპონს გადაიხდის ახალი ევრობლიგაციებით აღებულ საგარეო ვალში. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც გააჩნია. ეს ინვესტორების მხრიდან გაზრდილ ინტერესსა და ნდობაზე მიუთითებს.

2011 წლის ევრობონდების წარმატებით განთავსებაზე მისი დაბალი საპროცენტო განაკვეთი და ინგესტორების მხრიდან დიდი ინტერესი მოუთითებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ევრობლიგაციების შემოსავლიანობის სპრედი მიდსვოპებთან (ბაზარზე დაფიქსირებული მედიანური განაკვეთი მოთხოვნა-მიწოდების განაკვეთებს შორის) შედარებით მიახლოებული იყო ისეთი მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნებთან როგორიცაა ლიტვა, უნგრეთი და ხორვატია. საქართველოს სუვერენული ობლიგაციების დაბალი განაკვეთი საშუალებას იძლევა შემცირდეს ინვესტიციების მოზიდვისა და ვალის აღების ხარჯები ქვეყნისათვის (როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორისათვის).

დიაგრამა N 3.28
ევრობლიგაციების შემოსავლიანობა და სპრედი მიდ-სვოპებთან



საქართველოს 10-წლიან ევრობლიგაციებზე მოთხოვნამ 5.3-ჯერ გადააჭარბა გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობას. 2008 წლის 5-წლიანი ევრობლიგაციების ინვესტორთა დიდმა ნაწილმა გადაცვალა მფლობელობაში არსებული ევრობლიგები ახალ გამოშვებაზე. საქართველოს ასევე მიეცა საშუალება გაეფართოებინა ინვესტორთა ბაზა, უმთავრესად კი ამერიკელი ინვესტორებით. აღსანიშნავია, რომ ევრობლიგების პირველად ბაზარზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების 52 პროცენტი გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა შეიძინეს, 41 პროცენტი ამერიკელ ინვესტორებს ერგოთ, 7 პროცენტი კი ევროპაში განაწილდა. რაც შეეხება მფლობელთა ტიპებს, ფასიანი ქაღალდების უდიდესი ნაწილი - 98 პროცენტი ე.წ „აქტივების მენეჯერთა“ მფლობელობაში გადავიდა, დანარჩენი კი ბანკების აქტივებში გადანაწილდა.

4. ინფლაციის პრობენზი


ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ორ მეთოდოლოგიას: ერთი მხრივ, ბანკი აკვირდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ, კი ბანკი ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელირებას.

სამომხმარებლო კალათის ცალკეული კომპონენტების ფასების ინდექსის შეფასების მიხედვით ინფლაციის პროგნოზი ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფების ფასების მოსალოდნელი დინამიკის ექსპრტულ შეფასებას. სამომხმარებლო კალათის ცალკეული ჯგუფების ფასების მომავალი დინამიკის შესაფასებლად გამოიყენება არსებული ინფორმაცია ცალკეული პროდუქციის ფასის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ (სეზონურობა, საერთაშორისო ფასის მოსალოდნელი ცვლილება, ცვლილებები რეგულირებად ფასებში და სხვა). ინფლაციის დინამიკა 2011 წლის პირველ ნახევარში სურსათზე, მათ შორის ხილ-ბოსტნეულზე, ფასების ცვლილება განაპირობებდა. ივნისი-ივლისის თვეებში ბაზარზე ახალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოჩენასთან დაკავშირებით დაიწყო ხილ-ბოსტნეულზე ფასების შემცირება. ამდენად ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ივნისში საგრძნობლად შემცირდა და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია მომავალ თვეებშიც გაგრძელდეს. ბოლო თვეების განმავლობაში ფასების კლების ტენდენციამ ინფლაციის მოსალოდნელზე უფრო მეტად შემცირება განპირობდა, რის შედეგადაც შემცირდა წლის ბოლოსათვის ინფლაციის საპროგნოზი მაჩვენებელი.

შედეგად წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის 5.6 პროცენტამდე შემცირება, ხოლო მომავალი წლის დასაწყისში არსებული პროგნოზით ინფლაცია კიდევ უფრო შემცირდება. ინფლაციის პროგნოზი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ინფლაციის მაჩვენებელს წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი საბაზო ეფექტი აქვს (გასული წლის აგვისტოდან მოყოლებული ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა), რაც ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებას განაპირობებს. აღნიშნულ პროგნოზში აგრეთვე გათვალისწინებულია თბილისში ტრანსპორტის გაძვირების შედეგად გამოწვეული ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა, აგრეთვე ნაგვის გატანის მომსახურების გადასახადის გაზრდა. ინფლაციის პროგნოზირებისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დინამიკა. ბოლო პერიოდის განმავლობაში ნავთობის საერთაშორისო ფასს კლების ტენდენცია აქვს, აგრეთვე საგრძნობლად შემცირდა ხორბალზე მსოფლიო ფასი, რაც რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის მხრიდან ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვების მოხსნით აიხსნება. ხორბლის საერთაშორისო ფასის გაიაფებას მოსალოდნელია, რომ მოყვეს საქართველოში სამომხმარებლო ბაზარზე პურპროდუქტებზე ფასების შემცირება. პროგნოზისათვის გამოყენებულია დაშვება, რომ მომავალი წლის განმავლობაში რეგულირებადი ფასები უცვლელად შენარჩუნდება. სამომხმარებლო კალათის სხვა ჯგუფების ფასების დინამიკის პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა არსებული ინფორმაცია ეკონომიკის შესაბამის სექტორზე მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ. დღეისათვის არსებული წლიური ინფლაციის

დიაგრამა 4.1

ნლიური ინფლაციის პროგნოზი ცალკეული კომპონენტების პროგნოზირების საფუძველზე



მაღალ მაჩვენებელში განმსაზღვრელია სურსათის გაძირება, რაც ერთჯერადი, დროებითი მოვლენაა და მოსალოდნელია, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში მისი გავლენა ამოვარდება წლიური ინფლაციის მაჩვენებლიდან. მიმდინარე ეტაპზე მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა უმნიშვნელოა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინფლაციის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ 2011 წლის მესამე კვარტალის ბოლოს ინფლაცია 5.4 პროცენტის ფარგლებში იქნება, წლის ბოლოს ინფლაცია 5.6 პროცენტის ფარგლებში იქნება, ხოლო 2012 პირველ ნახევარში მოსალოდნელია ინფლაციის კიდევ უფრო შემცირება.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მეთოდით გაანგარიშებული ინფლაციის პროგნოზი მიზანშენონილია

ნახევარწლიანი პორიზონტისთვის, რადგან უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზი კარგავს სიზუსტეს.

ინფლაციის პროგნოზირებისათვის განახლებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} \delta p = & 0,080\delta p_{-1} + 0,037\delta m_{-1} + 0,033\delta m_{-2} + 0,034\delta m_{-6} \\ & - 0,078\delta e - 0,049\delta e_{-2} + 0,09\delta p^{food}_{-1} - 0,003ecm; \end{aligned}$$

სადაც:

P — არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;

m — ფართო ფული ($M3$);

e — ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი;

p^{food} — ხილ-ბოსტნეულის ფასი;

ecm — გრძლვადიანი წონასწორობის აღმნერი ცვლადია და მას შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} + 0,5e_{-1} - 1,5m_{-1} + 4,8y_{-1} - 28,4$$

ხოლო:

y — მთლიანი შიდა პროდუქტია.

განტოლებაში, აგრეთვე, შედის სეზონური და გადაგვარებული ცვლადები განსაზღვრული სეზონურობისა და სტრუქტურული ცვლილებების აღსანერად;


მოდელში შემავალი ამხსნელი ცვლადების სამომავლო მნიშვნელობების შესახებ შემდეგი დაშვებები გავაკეთეთ:

- ფართო ფული 2011 წლისაგვისტოსთვის წლიურად 8,85%-ით, ხოლო წლის ბოლოს 17,2 პროცენტით გაიზრდება. 2012 წელს კი ამ ფულადი აგრეგატის წლიური ზრდა 22 პროცენტი იქნება;
- ხილ-ბოსტნეულის ფასების გაიზრდება იმ დაშვებით, რომ იგი აგტორების პროცესია;
- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5,5 პროცენტი იქნება;
- ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი არ შეიცვლება.

შეფასებულის მოდელის შედეგად მიღებულ წლიური ინფლაციის პროგნოზს შემდეგი სახე აქვს:

მიღებული შედეგის მიხედვით, წლიური ინფლაცია სექტემბრის ბოლოსთვის 4,2 პროცენტიდან 4,8 პროცენტამდე ინტერვალში ხოლო წლის ბოლოს 4,3-დან 5,5 პროცენტამდე ინტერვალში მოხვდება.

დიაგრამა 4.2
ინფლაციის პროგნოზი (ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით)



5. მონაცენტრული კოლეგიუმის კომიტეტის გადაწყვეტილებები

2011 წლის მეორე კვარტალის განმავლობაში ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სამი სხდომა ჩატარდა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მიმდინარე წლის 20 ივლისის სხდომაზე კომიტეტიმა მიიღო პოლიტიკის განაკვეთის 25 საპაზისო პუნქტით შემცირების გადაწყვეტილება, როთიც ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერპილება.

მეორე კვარტალის განმავლობაში ინფლაციის მაღალი მაჩვინებელი შენარჩუნდა. წლიურ ინფლაციაში მნიშვნელოვანი იყო სურსათისა და საწვავის გაძვირების ეფექტი. სურსათის გაძვირების წვლილი ინფლაციის დაახლოებით 90 პროცენტს ხსნდა. საბაზო ინფლაციის მაჩვინებელმა მეორე კვარტალში მკაფიოდ გამოხატული კლების ტენდენცია შეიძინა. სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე ინფლაცია მაისში 1.7 პროცენტამდე, ხოლო ივნისში 0.3 პროცენტამდე შემცირდა. აგრეთვე დაბალი ინფლაცია ფიქსირდებოდა მომსახურების სექტორზეც, სადაც წლიური ინფლაცია 1 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. შესაბამისად წლიური ინფლაციის მაღალ მაჩვინებელს ეროვნული ბანკი განიხილავდა როგორც დროებით მოვლენას, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ შემცირდებოდა. ეროვნული ბანკის პროგნოზები ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაზე მიუთითებდნენ. შედეგად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა აპრილი-ივნისის სხდომებზე მიიღო გადაწყვეტილება პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.

მიმდინარე წლის მაის-ივნისში გამოკვეთა ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია

და შედეგად მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზენოლის კიდევ უფრო შესუსტება. ამასთან, ივნისის თვეში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელზე უფრო მეტად შემცირება დაფიქსირდა და შედეგადაც შემცირდა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც მოსალოდნელია, რომ ინფლაცია ჩამოცდეს მიზნობრივ დონეს. აქედან გამომდინარე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიზანშენონილადმიჩნია შერპილების პოლიტიკის დაწყება, რათა ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნდეს მიზნობრივ დონეზე. პირველ ეტაპზე 20 ივლისის სხდომაზე პოლიტიკის განაკვეთი შემცირდა 25 საბაზისო პუნქტით. იმ შემთხვევაში თუ მომდევნო თვეების განმავლობაში გაგრძელდა ერთობლივი მოთხოვნის შესუსტებით გამოწვეული ინფლაციის შემცირება, ეროვნული ბანკი გააგრძელებს შერპილების პოლიტიკას.

ამასთან, კომერციული ბანკების გრძელვადიანი დაფინანსების ნახალისების მიზნით მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გრძელვადიანად ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმის შემცირების შესახებ. ნარჩენი ვადიანობების მიხედვით ეროვნული ვალუტით 1 ნელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 ნელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები გათავისუფლებულია სარეზერვო მოთხოვნებისაგან, ხოლო უცხოური ვალუტით 1-დან 2 ნლამდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 5 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება სტიმულს მისცემს კომერციულ ბაკებს, რომ აქცენტი უფრო გრძელვადიანი რესურსის მოზიდვაზე გააკეთონ, რაც სისტემისთვის ნაკლები რისკების შემცველია.

საქართველო, თბილისი 0105, ლეონიძის ქ. 3/5
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

